

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “აი-ბი-ჯი ჰოლდინგი”

2020 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)	8
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს “აი-ბი-ჯი ჰოლდინგის” მფლობელს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩავატარეთ შპს “აი-ბი-ჯი ჰოლდინგის” (“კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად წოდებული “ჯგუფი”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის – “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” – ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ ჯგუფის მარაგების ინვენტარიზაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ჩვენ, ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის მარტში, ვინაიდან მარაგების ბალანსი გავლენას ახდენს პერიოდის შედეგის განსაზღვრაზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდის მოგება/ზარალთან მიმართებაში.

ზემოთაღნიშნული მიზეზის გამო, ჩვენ ასევე ვერ დავესწართ ჯგუფის ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვინაიდან ძირითადი საშუალებების ბალანსი გავლენას ახდენს ცვეთის ხარჯის განსაზღვრაზე, რომელიც, თავის მხრივ, ჩართულია პერიოდის შედეგის განსაზღვრაში, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდის მოგება/ზარალთან მიმართებაში.

როგორც აღწერილია შენიშვნა 3.2-ში მყიდველმა უნდა შეაფასოს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები მათი შეძენის თარიღში არსებული რეალური ღირებულებით. მაგრამ რადგან ჯგუფმა ვერ შეძლო შვილობილი კომპანიის ზოგიერთი მატერიალური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დადგენა შეძენის თარიღისთვის, მან შვილობილი კომპანია დაიკონსოლიდირა შესყიდვის თარიღში არსებული, აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით, რაც ძირითადად

ეფუძნებოდა თვითღირებულების მოდელს და შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული ყოფილიყო ამავე თარიღში მათი რეალური ღირებულებებისგან.

როგორც განხილულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 7-სა და 13-ში ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებზე აგრეთვე მიღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან. ხელშეკრულების პირობების მიხედვით ყველა ასეთი სესხი გაცემულია ან მიღებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, და შესაბამისი საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით გაუფასურებულია თუ არა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები ან დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების შესაბამისად აღიარებული საპროცენტო შემოსავალი არის თუ არ რეალურად მისაღები და რეალიზებადი ან ასეთ სესხზე დარიცხული პროცენტი რეალურად იქნება თუ არა გადახილი. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგება/ზარალში აგრეთვე დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ და მიღებული სესხების საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული მატერიალური განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 25.2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აჩვენებს მნიშვნელოვანი ოდენობის აკუმულირებულ ზარალს (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 37 მილიონი ლარი) და უარყოფით მთლიან კაპიტალს (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24 მილიონი ლარი) და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები (44 მილიონი ლარი) 14 მილიონი ლარით აღემატება მიმდინარე აქტივებს (30 მილიონი ლარი). ამ გარემოებებმა შესაძლოა ეჭვი წარმოშვას ჯგუფის შესაძლებლობაზე, რომ განაგრძოს ოპერაციები როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ პროგნოზირებად მომავალში.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2021 წლის 24 აპრილს.

დოგორც აღწერილია 34-ე შენიშვნაში, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებები გადაანგარიშებულია ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჩვენ ასევე ჩავატარეთ ამ გადაანგარიშების აუდიტი.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ქართულად მენეჯმენტის მიერ და ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოეხატა აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ ადგილი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ ვაცხადებთ არაფერს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გააღებენ მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგვემაჯო და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების

განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოს კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, გაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ვახტანგ ცაბაძე

წარმომადგენელი შპს გრანტ თორნტონის მხრიდან

მმართველი პარტნიორი

თბილისი, საქართველო

2021 წლის 30 დეკემბერი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,092,860	1,298,580
აქტივის გამოყენების უფლება	5	1,372,011	1,223,794
არამატერიალური აქტივები		23,256	36,553
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	6	4,560,814	-
სხვა ინვესტიციები სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში		163,350	163,350
		7,212,291	2,722,277
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	10,411,799	12,039,285
კაპიტალის შეესებაზე პარტნიორების დავალიანების მიმდინარე ნაწილი		-	5,786,664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,410,918	3,335,945
გაცემული სესხები	7	7,931,890	8,772,248
საგადასახადო აქტივები მოგების გადასახადის გარდა		578,349	479,257
გადახდილი ავანსები	10	8,831,575	7,685,447
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	11	782,576	360,319
		29,947,107	38,459,165
სულ აქტივები		37,159,398	41,181,442

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ქართული ლარი

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	12.1	13,963,596	19,113,600
აკუმულირებული ზარალი	12.2	(37,207,569)	(43,147,127)
		(23,243,973)	(24,033,527)
არამაკონტროლებელი წილი		(370,267)	(2,122,013)
მთლიანი მფლობელთა კაპიტალი		(23,614,240)	(26,155,540)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	13	14,885,575	-
საიჯარო ვალდებულებები	14	1,691,147	1,405,322
		16,576,722	1,405,322
მიმდინარე ვალდებულებები			
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	15	12,841,776	14,608,658
მიღებული ავანსები	16	14,347,890	21,525,137
სესხები	13	16,517,938	29,419,941
საიჯარო ვალდებულებები	14	311,552	185,043
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა		177,760	192,881
		44,196,916	65,931,660
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37,159,398	41,181,442

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული 2021 წლის 30 დეკემბერს:

დავით გოგორიშვილი

დირექტორი

გიორგი წიკლაური

ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12 - 50 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,092,860	1,298,580
აქტივის გამოყენების უფლება	5	1,372,011	1,223,794
არამატერიალური აქტივები		23,256	36,553
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	6	4,560,814	-
სხვა ინვესტიციები სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში		163,350	163,350
		<u>7,212,291</u>	<u>2,722,277</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	10,411,799	12,039,285
კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების დავალიანების მიმდინარე ნაწილი		-	5,786,664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,410,918	3,335,945
გაცემული სესხები	7	7,931,890	8,772,248
საგადასახადო აქტივები მოგების გადასახადის გარდა		578,349	479,257
გადახდილი ავანსები	10	8,831,575	7,685,447
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	11	782,576	360,319
		<u>29,947,107</u>	<u>38,459,165</u>
სულ აქტივები		<u>37,159,398</u>	<u>41,181,442</u>

ს. ჯიშ

გ. ბი

კონსოლიდირებული მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
შემოსავალი		78,772,216	66,108,173
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(67,301,210)	(55,571,480)
საერთო მოგება		11,471,006	10,536,693
სხვა შემოსავალი		4,275,632	7,048,757
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები		(126,458)	(169,463)
ადმინისტრაციული ხარჯები		(7,614,156)	(11,062,998)
სხვა ხარჯები		(3,349,817)	(5,115,970)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		4,656,207	1,237,019
ფინანსური შემოსავალი		670,830	752,185
ფინანსური ხარჯი		(4,564,649)	(8,908,408)
ზარალი საკუთროს სხვაობიდან		(4,693,825)	(5,057,194)
მეკავშირე საწარმოდან ზარალის წილი		(694,875)	-
ზარალი შვილობილი საწარმოს წილის რელიზაციიდან		12,317,616	-
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		7,691,304	(11,976,398)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/ადგენა		-	-
წლის წმინდა ზარალი		7,691,304	(11,976,398)
წლის მთლიანი სრული ზარალი		7,691,304	(11,976,398)
წმინდა ზარალი მიკუთვნებული მშობელი კომპანიის მფლობელებზე		7,645,766	(11,841,020)
წმინდა ზარალი მიკუთვნებული არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		45,538	(135,378)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12 - 50 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართული ლარი

	საწესდებო კაპიტალი	კუმულირებული მოგება/(ზარალი)	მშობელი კომპანიის მფლობელებზე მისაკუთვნებელი	არამაკონტროლე- ბელი წილი	სულ
2019 წლის 1 იანვარი	19,113,600	(26,407,228)	(7,293,628)	(1,986,635)	(9,280,263)
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში		(11,841,020)	(11,841,020)	(135,378)	(11,976,398)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-		-
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	(11,841,020)	(11,841,020)	(135,378)	(11,976,398)
შერწყმის შედეგი (გადაანგარიშებული) (იხ. შენიშვნა 12)		(4,898,879)	(4,898,879)		(4,898,879)
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	19,113,600	(43,147,127)	(24,033,527)	(2,122,013)	(26,155,540)
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში		7,645,766	7,645,766	45,538	7,691,304
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-		-
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	7,645,766	7,645,766	45,538	7,691,304
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(5,150,004)		(5,150,004)		(5,150,004)
ტრანზაქციები მფლობელებთან	(5,150,004)		(5,150,004)		(5,150,004)
შვილობილი კომპანიების წილების შესყიდვა		(1,706,208)	(1,706,208)	1,706,208	-
2020 წლის 31 დეკემბერი	13,963,596	(37,207,569)	(23,243,973)	(370,267)	(23,614,240)

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12 - 50 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართული ლარი

	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</i>			
მომხმარებლებიდან მიღებული თანხა გაყიდვით მანქანებისთვის		67,190,394	40,113,671
მომხმარებლებიდან მიღებული თანხა სათადარიგო ნაწილებისთვის		12,002,345	18,307,601
მომხმარებლებიდან მიღებული თანხა მანქანის შეკეთებისთვის		983,098	3,631,596
საგარანტიო ხარჯების ანაზღაურება		31,944	615,844
საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული თანხა		177,662	176,192
საიჯარო შემოსავალი		905,542	1,368,767
დაზღვევის ანაზღაურება		2,289,495	1,839,619
გადახდები მანქანის მომწოდებლებისთვის		(46,574,122)	(35,089,458)
გადახდები სათადარიგო ნაწილების მომწოდებლებისთვის		(16,481,318)	(16,720,932)
ტრანსპორტირების ხარჯების გადახდა		(1,736,803)	(1,104,805)
გადახდილი ხელფასები		(4,712,656)	(6,114,219)
გადახდები მანქანის შეკეთებისთვის		(630,860)	(709,511)
გადახდილი იჯარის ხარჯი		(1,439,685)	(1,102,717)
გადახდა საწვავის შეძენისთვის		(128,455)	(279,995)
კომუნალურების მომსახურებები		(248,376)	(272,269)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები		(86,682)	(93,577)
გადახდილი დაზღვევა		22,245	(299,903)
გადახდილი გადასახადები		(5,310,274)	(5,948,856)
გადახდილი საბანკო მომსახურება		(148,275)	(233,276)
სხვა გადახდები		(5,503,147)	(6,088,078)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		<i>602,072</i>	<i>(8,004,306)</i>
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>			
გაცემული სესხები		(6,486,239)	(4,755,930)
გაცემული სესხების დაბრუნება		5,546,800	591,601
გადახდები ძირითადი საშუალებებისა შესყიდვისთვის		(51,742)	(37,170)
მიღებული თანხები შვილობილი კომპანიების წილებისთვის	31	-	1,437,300
ნაღდი ფული მიღებული შვილობილი კომპანიების წილებისთვის	31	(111,659)	-
ინვესტიციის შემცირება მეკავშირე საწარმოში		100,000	-
გადახდები შვილობილი კომპანიების წილების შესყიდვისთვის		(1,194,738)	(180,000)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		<i>(2,197,578)</i>	<i>(2,944,199)</i>
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>			
მიღებული სესხები	32	21,111,754	26,945,954
სესხების გადახდა	32	(18,331,570)	(21,866,928)
გადახდილი პროცენტები	32	(2,840,077)	(3,229,160)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	12.1	-	2,816
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>		<i>(59,893)</i>	<i>1,849,866</i>
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა შემცირება		(1,655,399)	(9,098,639)
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე		2,077,656	4,939,319
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში		360,319	4,519,639
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს		782,576	360,319

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 12 - 50 გვერდებზე წარმოდგენილ
ასხნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “აი-ბი-ჯი ჰოლდინგი” (კომპანია) დაარსდა 2017 წლის აგვისტოში. კომპანიას ჰყავს ერთი პირდაპირი და 9 არაპირდაპირი შვილობილი კომპანია, ასევე აქვს ინვესტიციები ორ სხვა საწარმოში. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგენს შპს “აი-ბი-ჯი ჰოლდინგ” ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას, ერთად მოხსენიებული როგორც “აი-ბი-ჯი ჰოლდინგ” ჯგუფი (ან ჯგუფი).

ჯგუფის მთავარ საქმიანობა არის ავტომობილების და ავტომობილების სათადარიგო ნაწილების გაყიდვა და ავტომობილების საგარანტიო მომსახურება.

2020 წლის განმავლობაში ჯგუფის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 151 თანამშრომელი (2019: 188 თანამშრომელი).

კომპანიის იურიდიული მისამართია დიდუბის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2020 წლის და 2019 წლის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელი		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ტარიელ ხეჩიკაშვილი	საქართველოს მოქალაქე	24%	24%
ეკატერინე ინასარიძე	საქართველოს მოქალაქე	29,22%	29,22%
თამარ გვაზავა	საქართველოს მოქალაქე	10,89%	10,89%
მადონა თამაზაშვილი	საქართველოს მოქალაქე	10,89%	10,89%
სნეჟანა კოტოვა	რუსეთის მოქალაქე	5%	5%
სს რედი კაპიტალი	რუსეთში დარეგისტრირებული შპს	20%	20%

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა, რომელიც ჩინეთში 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა. კორონავირუსმა უკვე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე.

მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღეს გარკვეული ზომები ეკონომიკაში კორონავირუსის გავლენის შესამსუბუქებლად. ეს ღონისძიებები, სხვა ზომებთან ერთად, მოიცავს, სესხების სუბსიდირებას პანდემიით დაზარალებული ინდუსტრიებისთვის და საშვებულებო ანაზღაურებებს.

ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი ლიკვიდობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისათვის. ჯგუფი რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და

საჭიროების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი ინსტრუმენტები.

აღნიშნულმა მოვლენებმა, შემდგომში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის სამომავლო ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრულად პროგნოზირება მიმდინარე პერიოდში რთულია. სამომავლო ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა ჯგუფის საქმიანობაზე შეიძლება განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინისგან.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს შესაძლო სამომავლო გავლენას ჯგუფის ოპერაციებზე.

2 მომზადების საფუძველი

2.1 ბანცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა დარიცხვის მეთოდით, ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით და ფინანსური ინსტრუმენტების, წარდგენილი რეალური ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული), ვინაიდან მენეჯმენტი თვლის, რომ აღნიშნულ ვალუტაში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება უფრო რელევანტურ ინფორმაციას იძლევა მომხმარებლისთვის. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 25.1-ე შენიშვნაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ცოდნაზე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რეალური შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება შესაბამის წელში, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასსს”) მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის (“სფაიკ”) მიერ

გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია, რომელიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის ოპერაციებთან.

ცვლილებების ხასიათი და გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვრს, ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო წლებისათვის

ქვემოთ მოცემულია 2020 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ ჯგუფის ყოველწლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის შესწორება)
- არსებითობის განსაზღვრება (ბასს 1-ის და ბასს 8 -ის შესწორება)
- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმა (ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორება)

კოვიდ-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შედავატები (ფასს 16 -ის შესწორება)

სტანდარტები, არსებული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული ჯგუფის მიერ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასსს”) მიერ გამოქვეყნებულია რამდენიმე ახალი სტანდარტი, არსებული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერ არა არის ძალაში შესული და ჯგუფს არ მოუხდენია ვადაზე ადრე გამოყენება.

ხელმძღვანელობა მოელოდა, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლისთანავე.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან.

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის მეორე ფაზა (ფასს 9-ის, ბასს 39-ის, ფასს 16-ის, ფასს 4-ისა და ფასს 7-ის შესწორებები)
- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები
- შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის შესწორება)
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის შესწორება)
- წაგებიანი ხელშეკრულება – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ბასს 39-ის შესწორება)
- 2018-2020 წლებში განხორციელებული ფასს გაუმჯობესებები (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ბასს 41-ისა და ფასს 16-ის შესწორებები)
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ბასს 1-ის შესწორება)

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2020 წლის 31 დეკემბერი	მფლობე- ლობა		დაფუძ- ნების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შვილობილი	%	ქვეყანა			
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	100%	საქართველო	12/25/2001	საკონსულტაციო მომსახურება	2/13/2018
2019 წლის 31 დეკემბერი	მფლობე- ლობა		დაფუძ- ნების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შვილობილი	%	ქვეყანა			
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	100%	საქართველო	12/25/2001	საკონსულტაციო მომსახურება	2/13/2018

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ არაპირდაპირ შვილობილ კომპანიებს, რომელთაც ფლობს შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი:

2020 წლის 31 დეკემბერი შვილობილი	მფლობ ელობა %	ქვეყანა	დაფუძ- ნების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს კავკასიის ავტო ცენტრი	100%	საქართველო	7/13/2010	ავტომობილების ავტო-ბაზრობა რუსთავეში	5/21/2015
შპს ავტო ცენტრი	100%	საქართველო	4/20/2010	ავტომობილების გაყიდვა	10/13/2017
შპს კავკასუს მოტორსი	100%	საქართველო	2/21/2011	ავტომობილების გაყიდვა	10/13/2017
შპს იბერია ავტო	100%	საქართველო	7/1/2009	ავტომობილების გაყიდვა	10/13/2017
შპს იბერია ტექ ავტომოტივი	75%	საქართველო	9/6/2006	სათადარიგო ნაწილების გაყიდვა და ავტომობილების სერვისი	10/13/2017
შპს იტა სერვისი	75%	საქართველო	11/9/2012	ქონების ლიზინგი	10/13/2017
შპს იბერმობილი	100%	საქართველო	11/6/2000	უმოქმედო კომპანია	10/13/2017
შპს K&V	99%	საქართველო	1/20/2014	უმოქმედო კომპანია	1/20/2014
შპს V&K	99%	საქართველო	10/27/2016	უმოქმედო კომპანია	10/27/2016
2019 წლის 31 დეკემბერი შვილობილი	მფლობ ელობა %	ქვეყანა	დაფუძ- ნების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს კავკასიის ავტო ცენტრი	70%	საქართველო	7/13/2010	ავტომობილების ავტო-ბაზრობა რუსთავეში	5/21/2015
შპს იბერია ავტო ლენდი	100%	საქართველო	3/15/2007	ავტომობილის სერვისი	10/13/2017
შპს იბერია ავტო ჰაუსი	100%	საქართველო	4/20/2004	ავტომობილის სერვისი	10/13/2017
შპს იბერია ავტო ცენტრი	100%	საქართველო	4/20/2010	ავტომობილები ს გაყიდვა	10/13/2017

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

2019 წლის 31 დეკემბერი შეიღობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს იბერია სერვისი	100%	საქართველო	4/12/2002	ავტომობილის სერვისი	10/13/2017
შპს ქარ რენტ ლიზინგი	100%	საქართველო	3/20/2012	ავტომობილების გაყიდვა	10/13/2017
შპს სენა ავტო	100%	საქართველო	9/22/2006	ავტომობილების გაყიდვა	10/13/2017
შპს კავკასუს მოტორსი	100%	საქართველო	2/21/2011	ავტომობილების გაყიდვა	10/13/2017
შპს კია საქართველო	100%	საქართველო	10/19/2007	ავტომობილების გაყიდვა	10/13/2017
შპს იბერია ავტო	90%	საქართველო	7/1/2009	ავტომობილების გაყიდვა	10/13/2017
შპს იბერია ტექ ავტომოტივი	75%	საქართველო	9/6/2006	სათადარიგო ნაწილების გაყიდვა და ავტომობილების სერვისი	10/13/2017
შპს იტა სერვისი	75%	საქართველო	11/9/2012	ქონების ლიზინგი	10/13/2017
შპს იბერმობილი	100%	საქართველო	11/6/2000	უმოქმედო კომპანია	10/13/2017
შპს K&V	99%	საქართველო	1/20/2014	უმოქმედო კომპანია	1/20/2014
შპს V&K	99%	საქართველო	10/27/2016	უმოქმედო კომპანია	10/27/2016

2018 წლის განმავლობაში იბერია ბიზნეს ჯგუფმა შეიძინა შპს კავკასია ავტო ცენტრის 30%. იმის გამო, რომ კომპანიას მთლიანად არ გადაუხდია ნაყიდი წილების ღირებულება, შპს იბერია ბიზნეს ჯგუფს, ანგარიშგების თარიღისთვის, აქვს შეზღუდვა რომ გაყიდოს შპს კავკასიის ავტო ცენტრის 23%.

2020 წლის განმავლობაში, შპს კია საქართველოში წილის 50%. იგი ახლა აღირიცხება, როგორც ერთობლივი საწარმო (იხ. შენიშვნა 6).

ზემოთ აღნიშნული ტრანზაქცია განხორციელდა 2019 წლის 31 დეკემბერთან ახლო პერიოდში და შეცდომით აღირიცხა 2019 წლის პერიოდში, ნაცვლად 2020 წლის პერიოდისა (იხ. შენიშვნა 34).

2020 წლის განმავლობაში, ჯგუფმა გააფორმა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება შპს იტა სერვისის 25%-იანი და შპს იბერია ტექ ავტომოტივის 25%-იანი წილების შესყიდვის თაობაზე. (იხ. შენიშვნა 10).

2.7 ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშება

ჯგუფმა შეიტანა ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და წინა პერიოდის შეცდომები რეტროსპექტიულად გაასწორა გამოსაცემად დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგებების პირველ ნაწილში მათი აღმოჩენის შემდგომ: წინა პერიოდებში წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, სადაც შეცდომა იყო დაშვებული; ან თუ შეცდომა იყო დაშვებული უახლოეს წარმოდგენილ პერიოდამდე, გადაანგარიშდა აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი ბალანსები უახლოესი წინა წარმოდგენილი პერიოდისთვის. ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მოიცავს შესადარის ინფორმაციას წინა პერიოდისათვის წარმოდგენილია როგორც გასწორებული იმ პერიოდში, სადაც ამგვარი საჭიროება გაჩნდა. ამგვარად, თითოეულ წარმოდგენილ პერიოდთან დაკავშირებული შესწორებული რაოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს მშობელ და ყველა შვილობილ კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ყველა შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი სრულდება 31 დეკემბერს.

ყველა ტრანზაქცია და ბალანსი, მათ შორის არარეალიზებული მოგება და ზარალი, ჯგუფის კომპანიებს შორის ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. როდესაც ჯგუფთაშორის აქტივების რეალიზაციისას წარმოქმნილი არარეალიზებული ზარალი კონსოლიდაციის დროს ანაზღაურდება, განსაკუთრებული აქტივის გაუფასურება შემოწმდება ჯგუფის პერსპექტივიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მონაცემები დაკორექტირდება საჭიროების შემთხვევაში, რათა დაცული იყოს თანმიმდევრულობა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

წლის განმავლობაში შეძენილი ან გასული შვილობილი კომპანიების მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლები აღიარებულია შეძენის ძალაში შესვლის თარიღიდან ან გასვლის ძალაში შესვლის თარიღამდე.

ჯგუფი შვილობილი კომპანიების მთლიან სრულ შემოსავალს ან ზარალს მიაკუთვნებს მშობელი საწარმოს და არამაკონტროლებელი წილებს ანაწილებს, მათი საკუთრების შესაბამისი წილიდან გამომდინარე.

3.2 ბიზნეს კომბინაციები

ბიზნეს კომბინაციების აღრიცხვისთვის ჯგუფი იყენებს შეძენის მეთოდს.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის კონტროლის მოპოვების მიზნით გადახდილი ანაზღაურება წარმოადგენს გადაცემის თარიღში გასული აქტივების რეალური ღირებულების, ვალდებულებებისა და ჯგუფის მიერ დათმობილი წილის (რომელიც მოიცავს აქტივის ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებას, რომელიც წარმოიქმნება პირობითი ვალდებულებების შეთანხმებიდან) ჯამს.

მიღებული აქტივები და ვალდებულებები ფასდება მათი შეძენის თარიღში არსებული რეალური ღირებულებით.

3.3 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აღიარდეს ჯგუფის წილი მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავალი ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

არარეალიზებული მოგება და ზარალი ჯგუფსა და მის მოკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებს შორის ტრანზაქციებზე ელიმინირდება, ამ სუბიექტების მიმართ ჯგუფის წილის ფარგლებში. არარეალიზებული ზარალის ელიმინაციის შემდეგ, აქტივი ასევე მოწმდება გაუფასურებაზე.

3.4 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ევრო 4.0233 ლარს

(2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი და 3.2095 ევრო). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირაველად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშევა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები	– 20 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	– 5 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	– 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	– 12 წელი.
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	– უმცირესი იჯარის ვადასა და 7 წელს შორის

რადგანაც მიწისთვის შეუძლებელია სასრული სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, დაკავშირებული საბალანსო ღირებულება არ ექვემდებარება ცვეთას.

3.6 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის.

3.7 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.8 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება, რომელსაც ფლობილია საიჯარო შემოსავლების მიღების და/ან ღირებულების ზრდის მიზნით, თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს გარიგების ხარჯებს. საწყისი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული საიჯარო შემოსავალი და საოპერაციო ხარჯები შედის შემოსავალში და სხვა ხარჯებში, შესაბამისად.

3.9 იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო

ვალდებულებას კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, ჯგუფის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

ჯგუფი, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. ჯგუფი ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.10 მარაგები

მარაგები ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წდება, როდესაც ის შესრუდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI)

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 28.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL)

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებიც ფლობილია სხვადასხვა ბიზნეს მოდელით გარდა იმ მიზნით რომ “მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები” ან “მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და გაყიდოს”, კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით. ამასთანავე, ბიზნეს მოდელის დამოუკიდებლად ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდები აღირიცხება FVTPL-ით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ხდება ამ კატეგორიაში, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც განსაზღვრულია და წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტს, რომლისთვისაც შესაბამისია ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

კატეგორია ასევე მოიცავს წილობრივ ინვესტიციებს. ჯგუფი აღრიცხავს ინვესტიციას სს “ფრანს აუტოში” FVTPL-ით და მას არ აურჩევია ინვესტიციის სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით (FVOCI) ასახვა. რეალური ღირებულება განისაზღვრა ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც არ იძლევა თვითღირებულებით შეფასების საშუალებას.

აქტივები ამ კატეგორიაში შეფასებულია რეალური ღირებულებით შემოსავლის ან ზარალის მოგება ზარალში ასახვით. ამ კატეგორიაში შემავალი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტიური ბაზრის ტრანზაქციების შესაბამისად ან შეფასების მეთოდით სადაც აქტიური ბაზარი არ არსებობს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელს“. ახალ განსაზღვრაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის საკრედიტო ზარალის პირველადი აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად, ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გაეყენა აქვს ინსტრუმენტის მოსალოდნელ სამომავლო ფულადი ნაკადების შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის

არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 27 (ბ) დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 28.2-ე შენიშვნაში..

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, შემცირებული გაცემის დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. რეალურ და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება რეალურ და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებული სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან განსაკუთრებული აქტივის წარმოებასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

იჯარის ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აფასებს საიჯარო ვალდებულებას იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი ამ თარიღისთვის. იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, თუ ეს განაკვეთი ადვილად შეიძლება განისაზღვროს. თუ ეს განაკვეთი არ არის ადვილად განსაზღვრული, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი აფასებს საიჯარო ვალდებულებას შემდეგი გზით: საბალანსო ღირებულების გაზრდა, რათა აისახოს პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე; საბალანსო ღირებულების შემცირება განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და საბალანსო ღირებულების ხელახალი შეფასება ნებისმიერი გადაფასების ან იჯარის მოდიფიკაციის ასახვისთვის, ან არსებითად შესწორებული ფიქსირებული იჯარის გადახდების ასახვისთვის.

3.12 ფული და საბანკო ანგარიშები

ფული და საბანკო ანგარიშები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.13 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში იმდენად, რამდენადაც კომპანიის დამფუძნებლებმა განახორციელეს ფაქტობრივი შენატანები.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. ყველა ტრანზაქცია მშობელი კომპანიის მფლობელებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.14 ანარიცხები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია, ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებლად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

ჯგუფს აქვს საგარანტიო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ის მომხმარებლებს პირდება გაყიდულ მანქანებზე გარკვეული სახის ზიანის ანაზღაურებას. საგარანტიო ანარიცხის ოდენობა გამოიანგარიშება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენ ავტომობილზე მოქმედებს გარანტია წლის ბოლოს, ჯგუფის ისტორიული გამოცდილებით და მოსალოდნელი საგარანტიო მომსახურებით იმ ავტომობილებისათვის, რომლებზეც ვრცელდება გარანტია.

3.15 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(აქტივი) დასაბეგრ შემოსავალზე/(ზარალზე) წლის განმავლობაში, ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ან შემდგომ ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით და წინა წლებში გადასახდელი გადასახადის ნებისმიერი კორექტირება.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საგადასახადო მოდელის („მოგების გადასახადის ესტონური მოდელი“) მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით და 15%-იანი კორპორატიული საგადასახადო ბეგარა განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.16 თანამშრომელთა ანაზღაურება

თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი არის ისეთი სახის სარგებელი რომელიც მოსალოდნელია რომ სრულად დაიფარება წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვემდე ვადაში, რა პერიოდშიც თანამშრომლები წვევენ შესაბამის მომსახურებებს და მოიცავს:

ა) ხელფასებს, ანაზღაურებასა და ბონუსებს;

ბ) წლიურ შვებულებებსა და დროებითი უუნარობის შვებულებებს;

როდესაც თანამშრომლები ჯგუფს უწევენ მომსახურებას სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აღიარებს არადისკონტირებულ მოკლევადიან თანამშრომელთა სარგებელს, რომელიც უნდა გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება სარგებლის არადისკონტირებულ თანხას, ჯგუფი აღიარებს ამ სიჭარბეს, როგორც აქტივს (წინასწარ გაწეულ ხარჯს), რამდენადაც წინასწარი გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულადი სახსრების დაბრუნებას;

ბ) როგორც ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხა შედის აქტივის ღირებულებაში;

ბონუსები

ბონუსის გადახდის მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების შედეგად აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ დაფაროს ასეთი გადასახადი და შესაძლებელია ვალდებულების საიმედო შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს არ აქვს გადახდისგან განსხვავებული სხვა რეალური ალტერნატიულ არჩევანი.

3.17 შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ავტომობილების და ავტომობილების ნაწილების რეალიზაციიდან და ავტომობილების საგარანტიო სერვისებიდან.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი ჯგუფი განიხილავს 5 საფეხურიანი პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებელისთვის დაპირებული საქონლის ან სერვისის მიწოდებით. აქტივის გადაცემა ხდება, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს ამ აქტივის კონტროლს.

ჯგუფის მთავარი შემოსავლის წყარო არის:

- ა) შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან;
- ბ) შემოსავალი სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან, და
- გ) შემოსავალი ავტომობილებზე სერვისის გაწევიდან.

ჯგუფი ყიდის ავტომობილებს სტანდარტული საგარანტიო პირობებით, რომელსაც ანაზღაურებს ავტომობილის მწარმოებელი და არ აწვდის მომხმარებელს დამატებით სერვისს, ამგვარად ავტომობილების რეალიზაციიდან, გარანტიები არ განიხილება როგორც ცალკეული შესასრულებელი ვალდებულებები.

ყველა ზემოთ აღწერილი შემოსავლის წყარო აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში.

დროის გარკვეული მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე და ჯგუფი დაფარავს შესასრულებელ ვალდებულებას, ჯგუფი ითვალისწინებს კონტროლთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. აქტივის კონტროლი სარგებლის მიღების უნარს. კონტროლი მოიცავს შესაძლებლობას, აარიდოს სხვა საწარმოებს აქტივის პირდაპირი გამოყენება და სარგებლის მიღება.

დივიდენდი და საპროცენტო შემოსავალი

შემოსავალი დივიდენდებიდან აღიარდება, როდესაც აქციონერის უფლება, რომ მიიღოს გადახდა დამტკიცებულია.

საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა ხდება დროის შესაბამისად, გადაუხდელი ძირი თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, რომელიც თავისთავად, წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

საიჯარო შემოსავალი

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით დროთა განმავლობაში შესაბამისი იჯარისთვის.

4 ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	შატრან- სპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრე- ბელი მშე- ნებლობა	სულ
თვითღირებულება							
2019 წლის 1 იანვარი	3,267,787	712,221	1,285,021	800,065	257,489	70,636	6,393,219
შემოსვლა	250,407	8,682	82,384	72,120	69,968	-	483,561
გასვლა	(3,245,418)	(56,615)	-	(207,470)	(26,219)	-	(3,535,722)
საინვესტიციო ქონებიდან გადმოტანა	-	-	111,413	-	-	-	111,413
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	272,776	664,288	1,478,818	664,715	301,238	70,636	3,452,471
შემოსვლა	-	42,318	72,056	53,747	75,792	-	243,913
გასვლა	-	(1,578)	(132)	-	(99,609)	(70,636)	(171,955)
მარაგებიდან გამოტანა	-	-	7,482	130,181	-	-	137,663
შვილობილში წილის რეალიზაცია	-	(134,403)	(161,836)	(185,850)	(111,935)	-	(594,024)
2020 წლის 31 დეკემბერი	272,776	570,625	1,396,388	662,793	165,486	-	3,068,068
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის 1 იანვარი	4,480	466,890	927,925	486,302	96,906	-	1,982,503
წლის ცვეთა	75,515	50,904	71,510	46,140	38,834	-	282,903
გასვლის შედეგად ელიმინირებული	(71,660)	(5,475)	-	(124,686)	(2,393)	-	(204,214)
საინვესტიციო ქონებიდან გადმოტანა	-	-	92,699	-	-	-	92,699
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	8,335	512,319	1,092,134	407,756	133,347	-	2,153,891
წლის ცვეთა	3,115	40,433	84,918	37,132	16,157	-	181,755
გასვლის შედეგად ელიმინირებული	-	(322)	(41)	-	(5,109)	-	(5,472)
შვილობილში წილის რეალიზაცია	-	(127,909)	(114,581)	(48,312)	(64,164)	-	(354,966)
2020 წლის 31 დეკემბერი	11,450	424,521	1,062,430	396,576	80,231	-	1,975,208
საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	264,441	151,969	386,684	256,959	167,891	70,636	1,298,580
2020 წლის 31 დეკემბერი	261,326	146,104	333,958	266,217	85,255	-	1,092,860

ჯგუფის ძირითადი საშუალება 1,092,860 ლარის ოდენობით ჩადებულია სესხების უზრუნველსაყოფად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,298,580 ლარი) (იხილეთ შენიშვნა 13).

ცვეთის ხარჯი დარიცხულია ადმინისტრაციულ ხარჯებში. (იხილეთ შენიშვნა 21).

2019 წლის განმავლობაში სს თიბისი ბანკმა გაყიდა ჯგუფის მიწის ნაკვეთები და შენობები (იპოთეკის საგანი), რის გამოც ჯგუფმა ჩამოწერა ქონება და აღიარა ზარალი კრედიტორის საკუთრებაში არსებული იპოთეკის საგნის გადაცემიდან (იხ. შენიშვნა 22).

5 აქტივის გამოყენების უფლება

ქართული ლარი	მიწა	სულ
<i>თვითღირებულება</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
ფასს 16-ზე გადასვლის კორექტირება	1,439,758	1,439,758
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	1,439,758	1,439,758
შემოსვლა	370,802	370,802
2020 წლის 31 დეკემბერი	1,810,560	1,810,560
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
წლის ცვეთა	215,964	215,964
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	215,964	215,964
წლის ცვეთა	222,585	222,585
2020 წლის 31 დეკემბერი	438,549	438,549
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	1,223,794	1,223,794
2020 წლის 31 დეკემბერი	1,372,011	1,372,011

6 ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში

2020 წლის განმავლობაში, ჯგუფმა გაყიდა 50%-იანი შვილობილის წილი შპს კია საქართველოში, რომელიც ახლა წარმოადგენს ერთობლივ საწარმოს.

ლარი	2020	2019
ბალანსი წლის დასაწყისში	-	-
რეკლასიფიკაცია შვილობილში ინვესტიციიდან - შვილობილის 50%-იანი წილის რეალიზაციაზე	545,000	-
ინვესტიციის ზრდა ერთობლივ საწარმოში	4,810,689	-
ზარალის წილი	(694,875)	-
ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის შემცირება	(100,000)	-
ბალანსი წლის ბოლოს	4,560,814	-

სახელი	პრინციპალის საქმიანობა	ოპერირების ქვეყანა	წლის ფლობა (%)	
			2020	2019
შპს კია საქართველო	ავტომობილების რეალიზაცია	საქართველო	50%	N/A

ჯგუფის ერთობლივი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის შეჯამება შემდეგნაირია:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი აქტივები	7,571,767	-
მთლიანი ვალდებულებები	11,727,320	-
წმინდა აქტივები	(4,155,553)	-

ლარი	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
მთლიანი შემოსავალი	7,442,387	-
მთლიანი ზარალი	(1,389,750)	-
ჯგუფის წილი ერთობლივი საწარმოს ზარალიდან	(694,875)	-

7 გაცემული სესხები

ქართული ლარი	მიდინარე	
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები	7,931,890	8,772,248

ყველა სესხი გაცემულია დაკავშირებულ მხარეებზე და არის არაუზრუნველყოფილი.

8 მარაგები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილები	3,181,189	2,444,776
სათადარიგო ნაწილები	7,629,902	6,881,996
სხვა	30,506	42,205
	10,841,597	9,368,977

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში აღიარებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ხარჯი არის 65,170,942 ლარი (2019: 53,546,157 ლარი) (იხ. შენიშვნა 18) და სხვა ხარჯებში აღიარებული სასაქონლო მატერიალური მარაგის ხარჯი არის 111,277 ლარი (2019: 0 ლარი) (იხ. შენიშვნა 22).

ყველა სასაქონლო მატერიალური მარაგი ჩადებულია ვალდებულებების ურუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა 13).

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ- ბული)
<i>ფინანსური აქტივები</i>		
მოთხოვნები სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან	941,859	1,258,041
მოთხოვნები ავტომობილების გაყიდვიდან	600,869	652,927
მოთხოვნები ავტომობილებზე გაწეული მომსახურებიდან	78,635	72,192
მოთხოვნები ავტომობილების მწარმოებლებზე გაწეული საგარანტიო მომსახურებიდან	16,024	19,731
მოთხოვნები მმართველობითი მომსახურებიდან	10,620	56,599
სხვა მოთხოვნები	2,215,217	2,133,918
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,452,306)	(857,463)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,410,918	3,335,945

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალური ღირებულებასთან გონივრულად მიახლოებულ თანხად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი.

ჯგუფის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში განხილულია გაუფასურების მაჩვენებლებზე. გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად წარმოიშება კომერციული ბაზრის მომხმარებლებიდან, რომლებიც ფინანსურ სირთულეებს განიცდიან.

სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის საწყისი და საბოლოო ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ლარი

	2020	2019 (გადაანგარიშ- ბული)
ზარალის რეზერვი იანვრის მდგომარეობით	857,462	857,463
წლის განმავლობაში აღიარებული ზარალის რეზერვი	1,876,509	132,443
წლის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	(194,906)	(132,443)
წლის განმავლობაში გამოუყენებელი და შენახული ზარალის რეზერვი	(26,212)	-
ზარალის რეზერვის შემცირება შვილობილის რეალიზაციის შედეგად	(60,547)	-
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,452,306	857,463

შენიშვნა 27 (ბ)-ში წარმოდგენილია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საკრედიტო რისკისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ანალიზთან დაკავშირებით. ორივე - მიმდინარე და შედარებითი გაუფასურების ანარიცხები შეესაბამება ფასს 9-ის მოსალოდნელი ზარალის მოდელს

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 27 (ა)-ში.

10 გადახდილი ავანსები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	8,091,639	7,586,364
შვილობილის წილის შესაძენად გადახდილი ავანსები	586,400	-
სხვა	153,536	99,083
	<u>8,831,575</u>	<u>7,685,447</u>

2020 წლის განმავლობაში, იბერია ბიზნეს ჯგუფმა გააფორმა წინასწარი კონტრაქტი შპს რიჩარდ სალერთან შპს იტა სერვისის 25%-იანი და შპს იბერია ტექ ავტომოტივის 25%-იანი წილების შესყიდვის თაობაზე.

შპს იტა სერვისის 25%-იანი და შპს იბერია ტექ ავტომოტივის 25%-იანი წილების შესყიდვის ფასმა, შესაბამისად, შეადგინა 300,000 აშშ დოლარი და 400,000 აშშ დოლარი. ანგარიშგების თარიღისთვის შპს იბერია ბიზნეს ჯგუფს გადახდილი აქვს 200,000 აშშ დოლარი (586,400 ლარი).

11 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	22,350	84,663
საბანკო ანგარიშები	759,287	275,420
	<u>781,637</u>	<u>360,083</u>

ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 27-ში.

12 კაპიტალი და რეზერვები

12.1 საწესდებო კაპიტალი

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საწესდებო კაპიტალი წლის დასაწყისში	19,113,600	19,113,600
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(5,150,004)	-
საწესდებო კაპიტალი წლის ბოლოს	<u>13,963,596</u>	<u>19,113,600</u>

2020 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი შემცირდა 1,920,354 აშშ დოლარით, რაც რჩება მისაღებ მოთხოვნად 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (5,150,004 ქართული ლარის ექვივალენტი საწყისი კურსით იმ თარიღისთვის, როდესაც კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ).

12.2 აკუმულირებული ზარალი

აკუმულირებული ზარალი მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდების ზარალს.

2019 წლის განმავლობაში, შპს აუტო ლიზინგ ჯორჯია შეერწყა შპს იბერია ბიზნეს ჯგუფს. შერწყმულ კომპანიას ჰქონდა აკუმულირებული ზარალი და შერწყმის შედეგად მისი აკუმულირებული ზარალი გადავიდა ჯგუფის აკუმულირებულ ზარალში.

13 სმსხმბი

ქართული ლარი

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	8,107,439	14,570,816	8,504,396	-
არაუზრუნველყოფილი სესხები				
აქციონერებისგან	1,383,006	4,652,604	3,465,005	-
არაუზრუნველყოფილი სესხები				
დაკავშირებული მხარეებისგან	7,027,493	10,196,521	2,916,174	-
	<u>16,517,938</u>	<u>29,419,941</u>	<u>14,885,575</u>	<u>-</u>

საბანკო სესხების დაფარვის ვადაა 6 წელი და აქვს წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიური 10.17%.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებითა და მარაგებით (იხ. შენიშვნა 4).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 27 ჯგუფის საპროცენტო რისკისა და უცხოური ვალუტის რისკის გამოვლინებასთან დაკავშირებით.

14 იჯარა

საიჯარო ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
მიმდინარე	311,552	185,043
გრძელვადიანი	1,691,147	1,405,322
	<u>2,002,699</u>	<u>1,590,365</u>

ჯგუფს აქვს იჯარით აღებული მიწა. მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის გარდა, თითოეული იჯარა წარდგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე (მაგალითად, როგორიცაა საიჯარო გადასახადები ჯგუფის გაყიდვების პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე), გამოირიცხება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის საწყისი შეფასებიდან. ჯგუფი ახდენს აქტივის გამოყენების უფლების კლასიფიკაციას ძირითადი საშუალებების მსგავსად (იხ. შენიშვნა 4).

თუკი არ არსებობს სხვაგვარი საკონტრაქტო ულება, თითოეული იჯარა შეიცავს შეზღუდვას, იჯარის ობიექტის ქვეიჯარით გაცემის თაობაზე, აქტივის გამოყენების უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ჯგუფს. იჯარის შეწყვეტა არ არის ნებადართული, ან ასეთ შემთხვევაში ხდება შეწყვეტის საფასურის დაკისრება. ჯგუფს ეკრძალება გაყიდოს ან გირაოს სახით გამოიყენოს იჯარით აღებული აქტივები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ჯგუფის საიჯარო საქმიანობის ხასიათი აქტივების გამოყენების უფლების ტიპის მიხედვით, რომელიც აღიარებულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

აქტივის გამოყენე- ბის უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენო- ბა	დარჩენი- ლი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენი- ლი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენო- ბა გახან- გრძლივე- ბის უფ- ლებით	იჯარების რაოდენობა შესყიდვის შესაძლებ- ლობის ვადით	იჯარების რაოდენობა ინდექსზე მიბმული ცვლადი გა- დახდებით	იჯარის რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
მიწა	2	5	5	-	-	-	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	(491,490)	(344,124)
ფინანსური ხარჯები	179,938	159,081
	(311,552)	(185,043)
2-5 წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	(2,056,067)	(1,376,496)
ფინანსური ხარჯები	364,920	405,805
	(1,691,147)	(970,691)
5 წლის შემდეგ		
საიჯარო გადახდები	-	(458,832)
ფინანსური ხარჯები	-	24,201
	-	(434,631)
წმინდა მიმდინარე ღირებულება	(2,002,699)	(1,590,365)

საიჯარო გადახდები რომლებიც არ აღიარებულა ვალდებულებად

ჯგუფმა გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი (რომელთა მოსალოდნელი ხანგრძლივობა 12 თვე ან ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივებისთვის. ამგვარი გადახდები აღიარდება ხარჯად წრფივი მეთოდით. გარდა ამისა, არ არის ნებადართული ცვლადი გადახდების მქონე იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულების აღიარება და ამგვარი გადახდები აღიარდება ხარჯად, გაწვევისთანავე.

საიჯარო ვალდებულების განსაზღვრაში არ ჩართული, ხარჯად აღიარებული გადახდები შემდეგია:

ლარი	2020	2019
მოკლევადიანი იჯარები	995,225	1,745,124

15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ- ბული)
საიჯარო ვალდებულებები (მოკლევადიანი იჯარები)	5,278,014	5,546,903
მარაგებთან დაკავშირებული ვალდებულებები	2,368,687	1,532,487
სხვა	5,195,075	7,529,268
	<u>12,841,776</u>	<u>14,608,658</u>

სხვა ვალდებულებები მოიცავს შპს იბერია ჯგუფის მიღებულ ავანსებს კომპანიის აქციებში პოტენციური ინვესტორებისგან, თუმცა გარიგება საბოლოოდ არ დასრულებულა და ანგარიშგების თარიღისთვის 2,948,940 ლარი (2019: 2,867,700 ლარი) წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას პოტენციური ინვესტორების მიმართ. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ვალდებულებები ასევე მოიცავს შვილობილში - შპს კავკასიის ავტო ცენტრის 30%-იანი წილის შეძენიდან წარმოქმნილ ვალდებულებას 1,965,960 ლარის (2019: 2,036,067 ლარის) ოდენობით.

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ. ჯგუფს აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველა მოთხოვნა დაფარული იქნება შესაბამის საკრედიტო ვადაში.

უცხოური ვალუტის რისკის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 27.

16 მიღებული ავანსები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ- ბული)
ავანსები ავტომობილებისთვის	14,289,192	16,378,905
ავანსები სათადარიგო ნაწილებისთვის	57,588	228,517
სხვა მიღებული ავანსები	1,110	4,917,715
	<u>14,347,890</u>	<u>21,525,137</u>

2020 წლის განმავლობაში, ჯგუფმა გაყიდა 50%-იანი შვილობილის წილი შპს კია საქართველოში, რომელიც ახლა წარმოადგენს ერთობლივ საწარმოს (იხ. შენიშვნა 6).

ზემოთ აღნიშნული ტრანზაქცია განხორციელდა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ბოლო პერიოდში და შეცდომით აღირიცხა 2019 წლის პერიოდში, ნაცვლად 2020 წლის პერიოდისა (იხ. შენიშვნა 34)

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, შვილობილის წილის რეალიზაციისთვის მიღებულმა ავანსმა შეადგინა 4,886,820 ლარი.

ჯგუფს მნიშვნელოვანი რაოდენობის მიღებული ავანსები აქვს ავტომობილებისთვის, რადგანაც ჯგუფი დიდი კონტრაქტებისთვის (მაგალითად ავტომობილების მიწოდება სამინისტროებისთვის, სხვა სახელმწიფო ორგანოებისთვის ან დიდი კორპორატიული კლიენტებისთვის) როგორც წესი ჯერ იღებს თანხას კლიენტებისგან და ამის შემდეგ ახდენს ავტომობილის მიწოდებას.

17 შემოსავალი

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილების რეალიზაცია	55,046,967	39,371,427
სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია	20,839,917	23,435,700
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	1,818,764	1,961,466
საიჯარო შემოსავალი	885,286	1,048,243
საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	126,000	136,500
შსკა	55,282	154,837
	78,772,216	66,108,173

18 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშე- ბული)
გაყიდული ავტომობილების თვითღირებულება	48,034,582	33,825,909
გაყიდული სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	17,136,360	19,720,248
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	2,130,268	2,025,323
	67,301,210	55,571,480

19 სხვა შემოსავალი

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშე- ბული)
შემოსავალი ნაპატიები სესხებიდან	1,346,174	4,985,026
მწარმოებლების მიერ ანაზღაურებული საგარანტიო ხარჯები	645,910	1,239,544
შემოსავალი ნაპატიები საიჯარო გადახდებიდან	620,803	-
შემოსავალი გამოუყენებელი საგარანტიო ანაზღაურებიდან	362,685	-
წლის განმავლობაში გამოუყენებელი და აღდგენილი ზარალის ანარიცხი	26,212	-
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	580,478
სხვა	1,273,848	243,709
	4,275,632	7,048,757

შემოსავალი გამოუყენებელი საგარანტიო ანაზღაურებიდან წარმოადგენს შპს კავკასუს მოტორსის (შვილობილი) მიერ მიღებულ გადახდებს 2017-2018 წლების განმავლობაში იმ მანქანების საგარანტიო პერიოდის გასვლის შედეგად, რომლებიც საქართველოს მთავრობის გადმოცემა იაპონიის მთავრობისგან.

20 დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები

ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშე- ბული)
გაყიდული ავტომობილების გადაფორმების ხარჯები	60,505	17,484
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები	44,811	95,576
ტრანსპორტირება	10,848	15,467
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,243	22,358
სხვა	8,051	18,578
	126,458	169,463

21 ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშე- ბული)
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	4,704,046	6,600,393
იჯარის ხარჯი	890,973	1,423,456
ცვეთა და ამორტიზაცია	410,658	546,191
კომუნალური ხარჯი	196,783	318,628
საბანკო ხარჯი	158,300	304,540
საკონსულტაციო მომსახურება	147,449	326,561
უსაფრთხოება	144,842	214,599
საწვავის ხარჯი	127,588	220,110
სადაზღვეო ხარჯი	92,646	160,634
საკომუნიკაციო ხარჯი	71,840	89,799
რემონტის ხარჯი	24,655	40,127
მივლინების ხარჯი	19,757	143,495
საკანცელარიო ხარჯი	11,598	16,016
სხვა	613,021	658,449
	7,614,156	11,062,998

22 სხვა ხარჯები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშე- ბული)
უიმედო ვალების ხარჯი	1,876,509	132,443
გაწეული საგარანტიო ხარჯები	669,625	1,319,461
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	422,482	312,309
ჯარიმები და საურაევები	79,944	237,033
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	99,546	-
მოძველებული და ნელა რეალიზებადი მარაგების ჩამოწერა	111,277	-
ზარალი კრედიტორისთვის იპოთეკით დატვირთული საგნის გადაცემიდან	-	2,521,406
სხვა	90,434	593,318
	3,349,817	5,115,970

2019 წლის განმავლობაში სს თიბისი ბანკმა გაყიდა ჯგუფის მიწა და შენობები (იპოთეკის საგანი), რის გამოც ჯგუფმა ჩამოწერა ქონება და აღიარა ზარალი კრედიტორის საკუთრებაში იპოთეკის საგნის გადაცემიდან (იხ. შენიშვნა 4).

23 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ- ბული)
საბანკო სესხების საპროცენტო ხარჯები	1,501,878	2,393,129
საპროცენტო ხარჯები სესხებზე დაკავშირებულ მხარესთან	1,180,605	949,804
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ხელშეკრულებაზე	165,245	158,754
გაცემული სესხების გაუფასურება	1,716,921	5,406,721
სულ ფინანსური ხარჯი	4,564,649	8,908,408
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	670,830	752,185
სულ ფინანსური შემოსავალი	670,830	752,185
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(3,893,819)	(8,156,223)

24 ზარალი საკურსო სხვაობებიდან

ქართული ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ- ბული)
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	(147,227)	6,956,505
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	(4,546,598)	(12,013,699)
	(4,693,825)	(5,057,194)

25 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

25.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს ნელა მოძრავი მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას და ითვალისწინებს ყველაზე სანდო შესაძლებელ მტკიცებულებას თითოეული საანგარიშგემო პერიოდისთვის. მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიებმა ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შესაძლოა შეამციროს მომავალი გადასაყიდი ფასები.

უიმედო და საეჭვო ვალუების ანარიცხი

ჯგუფი აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 29-ში.

გაცემული სესხების ამოღებადობა

ჯგუფს გაცემული აქვს მნიშვნელოვანი სესხები დედა კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებზე. ამ სესხების ამოღებადობა მთლიანად დამოკიდებულია ამ კომპანიების შესაძლებლობებზე, გამოიმუშაოს საკმარისი მოგება და ფულადი ნაკადები. მ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, მენეჯმენტი თვლის, რომ ჯგუფი შეძლებს ამ აქტივის ამოღებას და არ არის აუცილებელი გაუფასურების აღიარება, თუმცა რეალური გარემოებები მომავალში, შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მიმდინარე მოლოდინებისა და შეფასებებისგან.

საგარანტიო ანარიცხები

გარანტიები წარმოადგენს გაურკვევლობას, რადგანაც ხელმძღვანელობამ ზუსტად არ იცის როდის და/ან რამდენი მომხმარებელი მოითხოვს საგარანტიო ანაზღაურებას, და რადგანაც ჯგუფის გარანტია მოიცავს გაყიდვიდან 5 წლამდე პერიოდს, ანაზღაურების მოთხოვნის ვადაც გაურკვეველია, ამასთანავე, გაურკვეველია, თუ რა სახის დაზიანებებზე გაკეთდება ანაზღაურების მოთხოვნა და თუ ყველა სახის დაზარალება ანაზღაურდება თუ არა მწარმოებლის მიერ. ამგვარად, რეალური შედეგები შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიმდინარე შეფასებებისგან.

25.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადობის შეფასებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აჩვენებს მნიშვნელოვან აკუმულირებულ ზარალს 2020 წლის ბოლოსთვის (37 მილიონი ლარი) და უარყოფით მთლიან კაპიტალს თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში (2020 – 24 მილიონი ლარი და 2019 - 26 მილიონი ლარი).

ზემოთ აღწერილმა გარემოებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს ჯგუფის შესაძლებლობაზე ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში.

თუმცა ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ჯგუფი გააგრძელებს საოპერაციო საქმიანობას დამფუძნებლების ფინანსური მხარდაჭერით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფი დროულად დაფარავს ყველა კრიტიკულ და მნიშვნელოვან ვალდებულებას ან შეათანხმებს გადახდის ვადებს, იმგვარად რომ ჯგუფი შეძლებს გააგრძელოს საქმიანობა მნიშვნელოვანი დანაკლისის გარეშე და შედეგად, ჯგუფის ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშსწორებას ბიზნესის ჩვეულ საქმიანობაში.

26 ფინანსური ინსტრუმენტები

26.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.11-ში.

26.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

თითოეული კატეგორიის აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შემდეგია:

ფინანსური აქტივები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ- ბული)
ამორტიზირებული ღირებულება		
გაცემული სესხები	7,931,890	8,772,248
კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების დავალიანების მიმდინარე ნაწილი	-	5,786,664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,410,918	3,335,945
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	782,576	360,319
	<u>10,125,384</u>	<u>18,255,176</u>
რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში		
სხვა ინვესტიციები	163,350	163,350
	<u>163,350</u>	<u>163,350</u>
სულ ფინანსური აქტივები	<u>10,288,734</u>	<u>18,418,526</u>

ფინანსური ვალდებულებები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ- ბული)
ამორტიზირებული ღირებულება		
სესხები	31,403,513	29,419,941
შაიჯარო ვალდებულებები	2,002,699	1,590,365
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,841,776	14,608,658
	<u>46,247,988</u>	<u>45,618,964</u>
შულ ფინანსური ვალდებულებები	<u>46,247,988</u>	<u>45,618,964</u>

27 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა რისკების ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკუროსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა.

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროსო სხვაობები გამოწვეულია ჯგუფის უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად დენომინირებულია ამერიკულ დოლარში და ევროში. ჯგუფს ასევე აქვს სესხები დოლარსა და ევროში.

უცხოურ ვალუტაში დენომირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები რომლებიც ჯგუფს დაუცველს ხდის სავალუტო რისკისაგან განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები წარგენილია მმართველი მენეჯმენტისთვის გადაყვანილი ლარში, პერიოდის ბოლოს არსებული განაკვეთით:

მუხლი

2020 წლის 31 დეკემბერი

	დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივი</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	84	5,614
ფული და საბანკო ანგარიშები	3,627	378,347
	<u>3,711</u>	<u>383,961</u>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	20,486,349	1,103,113
შაიჯარო ვალდებულებები	2,002,699	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,761,659	482,059
	<u>29,250,707</u>	<u>1,585,172</u>
წმინდა პოზიცია	<u>(29,246,996)</u>	<u>(1,201,211)</u>

მუხლი

2019 წლის 31 დეკემბერი

	დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივი</i>		
კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების დავალიანების მიმდინარე ნაწილი	5,139,879	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	201	11,332
ფული და საბანკო ანგარიშები	16,796	98,878
	<u>119,208,316</u>	<u>110,210</u>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	58,045,246	572,219
საიჯარო ვალდებულებები	1,590,365	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,883,638	483,638
	<u>65,519,249</u>	<u>1,055,857</u>
წმინდა პოზიცია	<u>(60,362,373)</u>	<u>(945,647)</u>

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის მგრძნობელობას 10%-იანი (2017: 10%) ზრდას და შემცირებას ლარის აშშ დოლართან მიმართებით. 15% (2019: 15%) წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური სავალუტო კურსების შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და პერიოდის ბოლოს მათი გაცვლითი კურსის ცვლილებას 15%-ით (2019: 15%).

ქართული ლარი	დოლარის გაყვანა		ევროს გაყვანა	
	2020	2019	2020	2019
მოგება/ზარალი	4,387,049	9,054,356	180,182	141,847

სავალუტო კურსის ცვლილებიდან წარმოშობილი რისკის დონე დამოკიდებულია წლის განმავლობაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი საკმარისად მიახლოებულად ასახავს კომპანიის რეალურ სავალუტო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ისეთი სახის რისკს, რომლის ცვლილებამაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. იმდენად რამდენადაც ჯგუფს არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები, მენეჯმენტს სჯერა, რომ ჯგუფი დაცულია მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშობა სხვადასხვა ფინანსური აქტივებისგან, ბანკში ფლობილი ნაღდი ფულის და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკი იმართება ჯგუფურ ბაზაზე ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულად ბალანსებთან და დეპოზიტებთან ბანკში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

ჯგუფის პოლიტიკაა ყურადღება გაამახვილოს მხოლოდ ღირებულ კრედიტორებზე. სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ვადა მერყეობს 30დან 90 დღემდე.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მომხმარებელების დიდ რაოდენობას სხვადასხვა სექტორებიდან. ჯგუფს არ აქვს უზრუნველყოფა სავაჭრო მოთხოვნების ნაშთზე. ამას გარდა, ჯგუფი არ ფლობს უზრუნველყოფას სხვა ფინანსური აქტივებისთვის.

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 24 თვით მანძილზე 2020 წლის 31 დეკემბრამდე და 2020 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. ჯგუფმა დაადგინა, რომ სფი ინფლაცია, ბიზნეს მომხმარებლებისთვის არის ყველაზე შესაფერისი ფაქტორი და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი

პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გაელენა სააღრიცხო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღარება წყდება), როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მოთხოვნების აღდგენის.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრა შემდეგნაირად:

2020 წლის 31 დეკემბერი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	12%	263,530	32,560
1-დან 6 თვემდე	33%	310,851	102,763
6 თვიდან 1 წლამდე	29%	703,070	205,531
1 წელზე მეტი	82%	2,585,773	2,111,452
		3,863,224	2,452,306

2020 წლის 1 იანვარი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	18%	405,414	71,436
1-დან 6 თვემდე	31%	407,697	128,153
6 თვიდან 1 წლამდე	8%	2,588,132	216,564
1 წელზე მეტი	56%	792,165	441,310
		4,193,408	857,463

გაცემული სესხები

მოიაზრება, რომ ჯგუფის მიერ გაცემულ სესხებს ამორტიზირებული ღირებულებით, არ აქვს საკრედიტო რისკი და ზარალის რეზერვი აღიარებულია 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი ზარალისათვის.

ვ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდის უუნარობას.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასახეო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს ჯგუფის კონტრაქტის დაფარვის ვადადევარაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებს შეთანხმებული გადახდის პერიოდის მიხედვით. ცხრილი შედგენილ იქნა არაღისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არაღისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2020 წლის 31 დეკემბერი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ინანსური იჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ჯამი
6 თვეზე ნაკლები	12,841,776	245,745	14,145,937	27,233,458
6 თვიდან 1 წლამდე	-	245,745	4,031,447	4,277,192
1-დან 5 წლამდე	-	2,056,067	6,238,520	8,294,587
5 წელზე მეტი	-	-	16,158,077	16,158,077
	<u>12,841,776</u>	<u>2,547,557</u>	<u>40,573,981</u>	<u>55,963,314</u>

2019 წლის 31 დეკემბერი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ინანსური იჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ჯამი
6 თვეზე ნაკლები	14,608,658	172,062	117,379,943	132,160,663
6 თვიდან 1 წლამდე	-	172,062	602,235	774,297
1-დან 5 წლამდე	-	1,376,496	6,603,711	7,980,207
5 წელზე მეტი	-	458,832	471,816	930,648
	<u>14,608,658</u>	<u>2,179,452</u>	<u>125,057,705</u>	<u>141,845,815</u>

ლიკვიდურობის რისკის შესაბამისად ჯგუფი იყენებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, განსაკუთრებით კი ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შეფასების მიხედვით.

28 რეალური ღირებულება

ჯგუფი გეთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია რეალური ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 ღონეზე. თითოეული ღონე განხილულია ქვემოთ:

- ღონე 1 – რეალური ღირებულება განისაზღვრება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე მოპოვებული კოტირებული ფასებით (გაუკორექტირებელი);
- ღონე 2 – რეალური ღირებულება განისაზღვრება მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ ღონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემით, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (ანუ ფასების მიხედვით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) და;
- ღონე 3 - რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტივის ან ვალდებულების შესახებ არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით (არადაკვირვებადი მონაცემები).

28.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

ინვესტიციები სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში, გარდა ინვესტიციების შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობილ საწარმოებში შეფასებულია რეალური ღირებულებით. ჯგუფს ფლობს 14.85% ინვესტიციას შპს “ფრანს ავტოში” რომლისთვისაც არ არსებობს ხელმისაწვდომი ბაზარი, ამგვარად, რეალური ღირებულების შეფასება განისაზღვრა აქციის ფასის გამოყენებით, რა ფასადაც ბოლოს მოხდა ახალი აქციების გამოიშვა ინვესტირებული საწარმოს არსებული აქციონერებისათვის. ეს ფასი მიჩნეულია, რომ იძლევა ინვესტირებული საწარმოს კაპიტალის რეალური ღირებულების მტკიცებულებას. წილობრივი ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება კლასიფიცირებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-3 ღონეში.

ჯგუფს არ აქვს სხვა ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებული რეალური ღირებულებით რომელთა შეფასებაც მოხდა პერიოდულად 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით

მე-13 შენიშვნაში წარმოდგენილი სესხების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია მომავალი მოსალოდნელი გადახდების დისკონტირების საფუძველზე საბაზრო განაკვეთებთან მიახლოებული საპროცენტო განაკვეთებით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საბანკო სესხების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. თუმცა, სხვა მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მათი საბალანსო ღირებულებისგან და მათი შეფასება ძნელია, რადგან ხშირად არ არსებობს რეალურად შეთანხმებული დაფარვის გრაფიკი, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი (არასაბანკო) სესხების გადახდის ზუსტ ვადებსა და მოცულობებს, ამის მაგივრად, გადახდები ხდება იმგვარად, თითქოს თავისუფალი ფულადი სახსრები ხელმისაწვდომია ჯგუფისთვის და ხშირად გადახდები იგვიანებს კრედიტორებთან ხელახალი მოლაპარაკებების გამო, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ. ყველა ამ გაურკვევლობის გამო გადახდების ვადებსა და ოდენობებთან დაკავშირებით, არასაბანკო სესხების რეალური ღირებულების საიმედო შეფასება შეუძლებელია.

28.2 არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფს არ აქვს არაფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, პერიოდულობის საფუძველზე 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

29 კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება დედა კომპანიის მფლობელებზე მიკუთნებული საკუთარი კაპიტალის წილისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, რეზერვებს და აკუმულირებულ ზარალს, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს შენიშვნა 13-ში განხილული სესხებს.

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გათვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს.

ჯგუფი აკონტროლებს კაპიტალის მდგომარეობას „წმინდა ვალისა“ და „კორექტირებული კაპიტალის“ კოეფიციენტების მეშვეობით.

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
წმინდა ვალი		
სესხები	31,403,513	29,419,941
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(782,576)	(360,319)
	30,620,937	29,059,622
კორექტირებული კაპიტალი		
მთლიანი კაპიტალი	(23,614,240)	(26,155,540)
	(23,614,240)	(26,155,540)
წმინდა ვალის კორექტირებულ კაპიტალთან თანაფარდობა	(1.30)	(1.11)

30 ბაუთვალისწინებული გარემოებები

30.1 ღაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფს სრულად არ აქვს დაზღვევული ყველა მისი სხვა აქტივი, საქმიანობის შეფერხებისგან, ან მესამე მხარის მიმართ ვალდებულებები, ქონების ან გარემოს ზიანთან მიმართებით, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის ძირითად საშუალებებთან ან ოპერაციებთან. მანამ სანამ ჯგუფი მიიღებს ადეკვატურ დაზღვევას, არის რისკი იმისა რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

30.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

30.3 გარემოსდაცვითი საკითხები

მენეჯმენტის აზრით, ჯგუფი აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში შესაბამისად, თვლის, რომ ჯგუფს არ გააჩნია რაიმე მნიშვნელოვანი მატერიალური ეკოლოგიური ვალდებულებები. თუმცა, საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა შემუშავების პროცესშია, კანონმდებლობაში პოტენციური ცვლილებებია და მისმა ინტერპრეტაციამ შეიძლება მომავალში გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მატერიალური ვალდებულებები.

31 შვილობილის წილის რეალიზაცია

2020 წლის განმავლობაში, ჯგუფმა გაყიდა შპს კია საქართველოში წილის 50%, რომელიც ახლა აღირიცხება, როგორც ერთობლივი საწარმო (იხ. შენიშვნა 6).

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია რეალიზებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება:

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფული და საბანკო ანგარიშები	111,659	111,659
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	158,332	158,332
მარაგები	2,212,185	2,212,185
გადახდილი ავანსები	1,064,849	1,064,849
კაპიტალის შეესებაზე პარტნიორების დავალიანების მიმდინარე ნაწილი	646,785	646,785
გაცემული სესხები	27,333,807	27,333,807
სხვა	68,068	68,068
	<u>31,595,685</u>	<u>31,595,685</u>
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
ძირითადი საშუალებები	239,058	239,058
არამატერიალური აქტივები	300	300
	<u>239,358</u>	<u>239,358</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,613,026	1,613,026
მიღებული ავანსები	5,020,983	5,020,983
სესხები	31,440,045	31,440,045
	<u>38,074,054</u>	<u>38,074,054</u>
რეალიზებული წმინდა აქტივები	(6,239,011)	(6,239,011)
არამაკონტროლებელი წილი	-	-
რეკლასიფიკაცია შვილობილში ინვესტიციიდან - შვილობილის 50%-იანი წილის რეალიზაციაზე	1,191,785	-
მოგება რეალიზაციიდან	12,317,616	-
საზღაური	<u>4,886,820</u>	<u>-</u>

წმინდა ფულადი ნაკადები რეალიზაციიდან წარმოდგენია ცხრილში ქვემოთ:

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულისა და ფულადი ექვივალენტების სახით მიღებული ანაზღაურება	4,886,820	-
გამოკლებული: გაყიდული შვილობილის ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(111,659)	-
	<u>4,775,161</u>	<u>-</u>

32 შინაგანი საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ჯგუფის ვალდებულებების ცვლილება კლასიფიცირებულია როგორც მოცემულია ქვემოთ:

ქართული ლარი	უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2019 წლის 1 იანვარი	25,487,704	8,752,853	-	34,240,557
ფულადი ნაკადები	12,636,472	14,309,482	-	26,945,954
აღებები	(16,184,451)	(5,682,477)	(126,077)	(21,993,005)
გადახდები	(2,369,852)	(859,308)	-	(3,229,160)
გადახდილი პროცენტები				
არაფულადი				
საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი აღიარება	-	-	1,439,758	1,439,758
აღებები (არაფულადი)	491,783	-	-	491,783
გადახდები (არაფულადი)	(9,784,141)	-	-	(9,784,141)
გადახდილი პროცენტი (არაფულადი)	(171,618)	-	-	(171,618)
დარიცხული პროცენტები	2,393,129	949,804	158,754	3,501,687
დარიცხული ჯარიმა	8,271	-	-	8,271
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	2,063,519	(2,621,229)	393,809	(163,901)
რეკლასიფიკაცია	-	-	(275,879)	(275,879)
2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	14,570,816	14,849,125	1,590,365	31,010,306
ფულადი ნაკადები	12,289,546	8,822,208	-	21,111,754
აღებები	(8,214,857)	(10,116,713)	(389,469)	(18,721,039)
გადახდები	(985,470)	(1,854,607)	(3,045)	(2,843,122)
გადახდილი პროცენტები				
არაფულადი				
საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი აღიარება	-	-	370,801	370,801
გადახდილი პროცენტი (არაფულადი)	-	(49,690)	-	(49,690)
ნაპატიები პროცენტი	(21,404)	(83,616)	-	(105,020)
ნაპატიები ძირითადი თანხა	-	(398,050)	-	(398,050)
დარიცხული პროცენტი	1,501,878	1,180,605	165,245	2,847,728
დარიცხული ჯარიმა	3,364	-	-	3,364
შვილობილის რეალიზაცია	(4,135,720)	-	-	(4,135,720)
გადასახადები	-	-	(1,638)	(1,638)
მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან	1,603,682	2,442,416	209,874	4,255,972
დეკლასიფიკაცია	-	-	60,566	60,566
2020 წლის 31 დეკემბერი	16,611,835	14,791,678	2,002,699	33,406,212

33 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მშობელი კომპანია, ერთობლივი საწარმო და საწარმოები საერთო კონტროლს ქვეშ, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა დანარჩენი, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

33.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის საბოლოო მფლობელები არიან ტარიელ ხეჩიკაშვილი – 24%; ეკატერინე ინასარიძე – 29.22%; თამარ გვაზავა – 10.89%; მადონა თამაზაშვილი – 10.89%; სს “რედი კაპიტალი” – 20%; სნეჟანა კოტოვა – 5%.

33.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები

ქართული ლარი

ტრანზაქცია	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<i>ქციონერები</i>		
შემოსულობები სესხებიდან	610,400	2,345,598
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	160,615	160,176
სესხების დაფარვა	(1,153,701)	(266,477)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	(362,918)	(281,828)
<i>სხვა</i>		
მომსახურების მიწოდება	161,096	250,981
შემოსულობები სესხებიდან	3,791,350	7,049,655
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	331,890	385,979
მომსახურების შეძენა	(1,017)	(1,059)
სესხების გადახდა	(4,606,319)	(5,632,286)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	(316,809)	(208,020)

ქართული ლარი

ბალანსები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<i>მშობელი კომპანიის მფლობელები</i>		
გაცემული სესხები	-	105,263
მიღებული სესხები	(4,848,010)	(4,652,604)
<i>სხვა</i>		
გაცემული სესხები	7,931,890	8,666,985
მიღებული სესხები	(9,943,667)	(10,196,521)

33.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის ახლო წევრებთან

ჯგუფის დირექტორებს და მათი ოჯახის ახლო წევრებს არ ჰქონდათ შპს “იბერია ბიზნეს ჯგუფის” მნიშვნელოვანი წილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მმართველმა ხელმძღვანელობამ მიიღო შემდგომი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რაც შედის ხელფასების უწყისში და თანამშრომელთა სარგებელში.

ქართული ლარი

2020 წლის 31
დეკემბერი2019 წლის 31
დეკემბერი

ხელფასები და ბონუსები

1,196,496

972,373

34 შესაღარისი კონსოლიდირებული ანგარიშგებების გადანგარიშება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებს მომზადებისას მენეჯმენტმა აღმოაჩინა შეცდომა, რომელიც წარმოიშვა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არასწორად წარგენიდან. შესაღარისი ოდენობების გადანგარიშება წარმოდგენილი წინა პერიოდისთვის სადაც შეცდომა მოხდა ნაჩვენებია ქვემოთ:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი

2019 წლის 31
დეკემბერი (აღრე
აღრიცხული)

გადანგარიშება

2019 წლის
დეკემბერი
(გადანგარიშებული)

ძირითადი საშუალება

1,300,333

(1,753)

1,298,580

აქტივის გამოყენების
უფლება

-

1,223,794

1,223,794

არამატერიალური აქტივები

34,800

1,753

36,553

მარაგები

12,075,414

(36,129)

12,039,285

კაპიტალის შევსებაზე

5,139,879

646,785

5,786,664

პარტნიორების
დავალიანების მიმდინარე
ნაწილისავაჭრო და სხვა
მოთხოვნები

3,787,197

(451,252)

3,335,945

გაცემული სესხები

11,200,428

(2,428,180)

8,772,248

საგადასახადო აქტივები
მოგების გადასახადის
გარდა

796,477

(317,220)

479,257

გადახდილი ავანსები

6,948,250

737,197

7,685,447

გადაფასების რეზერვი

85,911

(85,911)

-

აკუმულირებული
მოგება/(ზარალი)

(40,464,942)

(2,682,185)

(43,147,127)

არამაკონტროლებელი
წილი

(63,051)

(2,058,962)

(2,122,013)

სავაჭრო და სხვა

ვალდებულებები

14,253,278

355,380

14,608,658

მიღებული ავანსები

16,693,717

4,831,420

21,525,137

სესხები

31,848,125

(2,428,184)

29,419,941

საიჯარო ვალდებულებები

-

1,590,365

1,590,365

მიმდინარე მოგების

გადასახადის

ვალდებულება

339,740

(339,740)

-

საგადასახადო

ვალდებულებები მოგების

გადასახადის გარდა

-

192,881

192,881

ასევე დაფიქსირდა შეცდომა წინა პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით. შედარებითი თანხების ხელახალი დაზუსტება წინა პერიოდისთვის, რომელშიც მოხდა შეცდომა, ნაჩვენებია ქვემოთ:

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავლები.

ქართული ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი (აღრე აღრიცხული)	გადაანგარიშება	2019 წლის დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	66,952,450	(844,277)	66,108,173
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(55,690,253)	118,773	(55,571,480)
სხვა შემოსავალი	6,253,631	795,126	7,048,757
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	(248,253)	78,790	(169,463)
ადმინისტრაციული ხარჯები	(17,071,637)	6,008,639	(11,062,998)
სხვა ხარჯები	(4,445,225)	(670,745)	(5,115,970)
ფინანსური შემოსავალი	(3,171,945)	3,924,130	752,185
ფინანსური ხარჯები	(2,934,148)	(5,974,260)	(8,908,408)
ზარალი საკურო სხვაობიდან	(1,778,752)	(3,278,442)	(5,057,194)

როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ჯგუფმა მოახდინა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშების თითქმის ყველა მუხლის და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშების ხელახალი გადაანგარიშება.

გადაანგარიშების ძირითადი მიზეზები შემდეგია:

- როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ჯგუფმა მოახდინა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშების თითქმის ყველა მუხლის და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშების ხელახალი
- ჯგუფური ნაშთების, ტრანზაქციების და არარეალიზებული მოგების არასწორად ელიმინირება შიდა ჯგუფური გაყიდვებიდან;
- შვილობილი კომპანიის გასხვისების არასწორ პერიოდში აღრიცხვა;
- გრძელვადიანი იჯარები, რომლებიც არ არის აღრიცხული საიჯარო აქტივად და საიჯარო ვალდებულებად;

ამ კორექტივების კუმულაციური ეფექტი ჯგუფის კაპიტალზე არის ის, რომ მფლობელთა მთლიანი კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 5.5 მილიონი ლარით შემცირდა.

შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგის მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის შედეგების მიხედვით

I. გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო პარტნიორებო

ეს წელიწადი ჩვენთვის გახდა ახალი გამოწვევების, კომპანიის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ახალი მიდგომების წელი. ჩვენ შევძელით დასახული გეგმების რეალიზაცია, რაც ჯგუფის ყველა მენეჯერის და რიგითი თანამშრომლის შეთანხმებული მუშაობის შედეგია. ფინანსური თვალსაზრისით ძალიან რთული წლის მიუხედავად, კომპანიამ შეძლო და შეასრულა დასახული ამოცანების ნაწილი.

IBG გამოცდილი, მაღალკვალიფიციური მენეჯმენტით და თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაგან ბევრს აქვს თხუთმეტი-ოცი წლის გამოცდილება თავიანთ სფეროებში. იბერია ბიზნეს ჯგუფის სახელისა და რეპუტაციის გამო, IBG-მ შეძლო და თავი მოუყარა უმაღლესი კალიბრის მენეჯერებსა და თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ ადგილობრივი საავტომობილო ბიზნესის დიდი გამოცდილება და კარგად იცნობენ სექტორების კონკრეტულ პრობლემებს.

კომპანია მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად. ყოველწლიურად ხდება თანამშრომლების გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რისი შედეგიც ამაღლებულ და ეფექტურ მწარმოებლურობაში ვლინდება.

2020 წელს საზოგადოების საქმიანობა კვლავ მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე პარტნიორების ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

იბერია ბიზნეს ჯგუფის მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მომხმარებლისთვის განახლებული პროდუქტის შეთავაზებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და დამატებითი სერვისების განვითარების ხარჯზე.

ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნია საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები 2021 წელშიც.

აი-ბი-ჯი ჰოლდინგის გენერალური დირექტორი



დავით გოგორიშვილი

აი-ბი-ჯი ჰოლდინგის მოკლე ისტორია

შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი დაარსდა 2017 წლის აგვისტოში. კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია, 9 არაპირდაპირი შვილობილი კომპანია, 1 ერთობლივი საწარმო და 2 არაპირდაპირი ინვესტიცია სხვა საწარმოში.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა მოიპოვის ინვესტორებისგან ფულადი სახსრები, რათა ინვესტორებს გაუწიოს ინვესტიციების მართვის მომსახურება. თუმცა ის არ განიხილება საინვესტიციო საწარმოს, რადგან ყველა თავისი ინვესტიციის შედეგებს არ ზომავს და არ აფასებს რეალური რირებულების საფუძველზე, ამასთან კომპანიის მფლობელები არიან დაკავსირებული მხარეები.

შპს აი ბი ჯი ჰოლდინგის (IBGH) სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და არის საქართველოს საავტომობილო ბიზნესის ძირითადი მოთამაშე. ჯგუფის ოპერირების ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, ინდუსტრიული ზეთები და სითხეები, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და საბურავები. IBGH ახორციელებს თავის ოპერაციებს სხვადასხვა შვილობილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მეშვეობით, რომლიდანაც პირველი, შპს იბერმობილი, დაარსდა 1999 წელს.

კომპანიას გაააჩნია მაღალი დონის ბრენდების მართვის შეუდარებელი გამოცდილება.

დღეს, IBGH -ის (<http://www.ibg.ge>) პორტფელი მოიცავს ისეთ ცნობილ ავტობრენდებს (სადისტრიბუციო და სადილერო), როგორიცაა: Volkswagen, Mitsubishi, Audi, Skoda, KIA , Peugeot და Renault.


კომპანიას გაააჩნია მაღალი ხარისხის ავტონაწილები და საპოხი საშუალებები, სადაც ნდობის და ხარისხის კუთხით ერთ-ერთი ლიდერია ბაზარზე. რაც შეეხება საავტომობილო ბრენდების მრავალფეროვნებას, ამ მხრივ უპირობო ლიდერი გახლავთ ბაზარზე

კორპორატიული სტრუქტურა

აი-ბი-ჯი ჰოლდინგის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ყველა კომპანია, იურიდიულად დამოუკიდებელი, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე, შვილობილი კომპანიებია. ისინი ერთნაირი პრივილეგიებით და პასუხისმგებლობებით საგებლობენ. თითოეულ კომპანიას აქვს საკუთარი მენეჯმენტი ოპერაციების დონეზე, ხოლო ბექ ოფისის ფუნქციებს მთლიანად თავის თავზე იღებს იბერია ბიზნეს ჯგუფი. იბერია ბიზნეს ჯგუფში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.

როგორც წლების გამოცდილებამ აჩვენა, ეს სტრუქტურა არის ქმედითი და პრაქტიკული იმასთან შედარებით, რომ ინდივიდუალური კომპანია სრულად იყოს დაკომპლექტებული ფინანსური, მარკეტინგის, IT, სამართლებრივი, ლოჯისტიკისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტებით.

IBG Holding



ჯგუფში შემავალი კომპანიების და მათი საქმიანობის მიმოხილვა

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი

იბერია ბიზნეს ჯგუფის (IBG) სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და არის საქართველოს საავტომობილო ბიზნესის ძირითადი მოთამაშე. ჯგუფის ოპერირების ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, ინდუსტრიული ზეთები და სითხეები, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და საბურავები. IBG ახორციელებს თავის ოპერაციებს სხვადასხვა შვილობილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მეშვეობით, რომლიდანაც პირველი, შპს იბერმობილი, დაარსდა 1999 წელს.

კომპანიას გააჩნია მაღალი დონის ბრენდების მართვის შეუდარებელი გამოცდილება. IBG-ის (<http://www.ibg.ge>) პორტფელი მოიცავს (ან/და ფლობს აქციებს) ისეთ ცნობილ ავტობრენდებს (სადისტრიბუციო და სადისტრიბუციო), როგორიცაა: Volkswagen, Mitsubishi, Audi და KIA.

იბერია ბიზნეს ჯგუფის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ყველა კომპანია, იურიდიულად დამოუკიდებელი, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე, შვილობილი კომპანიებია. ისინი ერთნაირი პრივილეგიებით და პასუხისმგებლობებით საგებლობენ. თითოეულ კომპანიას აქვს საკუთარი მენეჯმენტი ოპერაციების დონეზე, ხოლო ბექ ოფისის ფუნქციებს მთლიანად თავის თავზე იღებს იბერია ბიზნეს ჯგუფი. იბერია ბიზნეს ჯგუფში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.

როგორც წლების გამოცდილებამ აჩვენა, ეს სტრუქტურა არის ქმედითი და პრაქტიკული იმასთან შედარებით, რომ ინდივიდუალური კომპანია სრულად იყოს დაკომპლექტებული ფინანსური, მარკეტინგის, IT, სამართლებრივი, ლოჯისტიკისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტებით.

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი დაფუძნებიდან დღემდე წარმოადგენს კომპანიას, რომელიც ჯგუფში შემავალი კომპანიებისათვის ეწევა მომსახურებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კატეგორიების მიხედვით არასრული ჩამონათვალი გამოიყურება შემდეგნაირად:

1. ადამიანური რესურსების მართვის მომსახურება;
2. იურიდიული მომსახურება;
3. კომპიუტერული და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მომსახურება;
4. მომსახურება საბაჟო პროცედურების და ტვირთების გადაადგილებასთან დაკავშირებით;
5. სამეურნეო და კურიერული მომსახურება;
6. მარკეტინგული და სარეკლამო მომსახურება;
7. ფინანსური მომსახურება;
8. სხვა დანარჩენი ;

ჯგუფში შემავალ კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა 151 ადამიანს შეადგენს.

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) იბერია ტექ ავტომოტივი (ITA) დაარსდა 2007 წელს და რეგისტრირებულია საქართველოში. ITA არის იბერია ბიზნეს ჯგუფის (IBG) ნაწილი. კომპანია ყიდის ძირითადად მაღალი ხარისხის ავტონაწილებს და საპოხ საშუალებებს, სადაც ნდობის და ხარისხის კუთხით ერთ-ერთი ლიდერია ბაზარზე. კომპანიის ოფისი მდებარეობს თბილისში.

ITA არის ცნობილი ევროპული და სხვა ბრენდების (*Continental, General, Barum, BOSCH, FEBI, BILSTEIN, KAVO, JURID, TRUCKTEC, HANS PREIS, WAHLER, BANNER, MEGATEX, ROMBAT, ELF, Mobil, Lotos MAG-I*)

ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში.

კომპანია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრებით, რომლებიც ახორციელებენ ავტოსატარაშო ნაწილების, საბურავების, აკუმლატორების, საცხებ-საპოხი მასალების, საავტომობილო აქსესუარების და ავტოქიმიური პროდუქციის იმპორტს.

დღეის მდგომარეობით იტა კარგად არის წარმოდგენილი საბითუმო და სადისტრიბუციო ბაზარზე (მაგ.: ზეთები, აკუმულატორები, საბურავები). კომპანიის შემოსავალმა საოპერაციო საქმიანობიდან 2020 წელს 5,644,887 ლარი შეადგინა. საშუალოდ ბრუნვის 10% მოდის საცალო გაყიდვებიდან, ხოლო დარჩენილი 90 % საბითუმო გაყიდვებიდან. კომპანიაში 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 13 პირს.

შპს იბერია ავტო ცენტრი

შპს იბერია ავტო ცენტრი (IAC) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში. IAC არის ევროპული ბრენდის, AUDI-ს ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავტომობილების საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი.





კომპანიის შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან 2020 წელს 31,690,534 ლარს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2019 წლის მონაცემს (2019: 17,537,102 ლარი). კომპანიაში 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 41 შეადგინა.

შპს კავკასუს მოტორსი

იბერია ბიზნეს ჯგუფი ამ კომპანიის მეშვეობით ფლობს მიცუბიშის ბრენდს. 2007 წლიდან მიცუბიში მოტორსის წარმომადგენელი საქართველოში იყო შპს "იბერია ავტო ლენდი", რომელიც 2019 წელს შეერწყა კავკასუს მოტორს.

მიცუბიში მოტორსის ცენტრი სთავაზობს მომხმარებელს ცნობილი იაპონური ბრენდის, როგორც უახლესი ავტომობილების სრულ სამოდელო რიგს, ასევე ორიგინალ ავტონაწილებს, ავტომეკეთებისა და ტექნომსახურების ცენტრს. მიცუბიშის საცალო გაყიდვები 13%-ს შეადგენს, ხოლო კორპორატიული 87%-ს.



კომპანიების შემოსავალმა საოპერაციო საქმიანობიდან 2020 წელს 12,724,281 ლარს შეადგენდა, რაც ორჯერ აღემატება 2019 წლის მონაცემს (2019: 5,822,000 ლარი)

კომპანიაში 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 10 შეადგინა.

შპს კავკასიის ავტო ცენტრი - რუსთავის ავტობაზრობა




რუსთავის ავტობაზრობაზე განთავსებულია საბაჟო ტერმინალი და სასტუმრო, რომელსაც მართავს და აკირავებს მოცემული კომპანია. წარმადობა: დაახლოებით 2,000,000 ავტომობილის მომსახურება.

კომპანის შემოსავალმა საოპერაციო საქმიანობიდან 2020 წელს 946,950 ლარი შეადგინა, რაც მცირედით შემცირებულია 2019 წელთან შედარებით (2019: 1,109,657 ლარი) მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო.

კომპანიაში 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 30 შეადგინა.

შპს იბერია ავტო

შპს იბერია ავტო (IA) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში. IA არის ევროპული ბრენდის, Volkswagen-ის, ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ფლობს ავტომობილების საჩვენებელი დარბაზს და სერვის-ცენტრს.



საავტომობილო გაყიდვები გამყარებულია, გარანტირებული მაღალი ხარისხის მომსახურების ცენტრით. იბერია ავტოს მომხმარებელთა შორის, ძლიერი კონცენტრაცია მოდის, როგორც საცალო სეგმენტის ასევე ქალაქის და სახელმწიფო უწყებებზე. კომპანიის გაყიდვების ძირითადი წილი უკავია კორპორატიულ სეგმენტს.

კომპანიების შემოსავალმა საოპერაციო საქმიანობიდან 2020 წელს 28,626,558 ლარი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2019

წლის მონაცემს (2019: 20,100,452). კომპანიაში 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობა გახლდათ 25.

იბერია ბიზნეს ჯგუფის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2020 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

	2019	2020	%
ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	წელი	წელი	ცვლილებები
შემოსავალი რეალიზაციიდან	66,108,173	78,772,216	19%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(55,571,480)	(67,301,210)	21%
საერთო მოგება	10,536,693	11,471,006	9%
ადმინისტრაციული ხარჯები	(11,062,998)	(7,614,156)	-31%
კომერციული ხარჯები	(169,463)	(126,458)	-35%
სხვა საოპერაციო შემოსავლები/ხარჯები (ნეტო)	1,932,787	925,815	-52%
საოპერაციო მოგება	1,237,019	4,656,207	276%
ფინანსური შემოსავლები/ხარჯები (ნეტო)	(8,156,223)	(3,893,819)	-52%
მოგება/ზარალი კურსის სხვაობის შედეგად (ნეტო)	(5,057,194)	(4,693,825)	-7%
წილი ერთობლივი საწარმოს მოგება/(ზარალი) - დან	-	(694,875)	N/A
მოგება შვილობილის გაყიდვიდან	-	12,317,616	N/A
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(11,976,398)	7,691,304	-164%
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება/ზარალი	(11,976,398)	7,691,304	-164%

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

მაჩვენებლები	2019	2020	%
	წელი	წელი	ცვლილებები
აქტივები			
არასაბრუნავი აქტივები	2,722,277	7,212,291	165%
საბრუნავი აქტივები	38,459,165	29,947,107	-22%
სულ აქტივები	41,181,442	37,159,398	-10%
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	19,113,600	13,963,596	-27%
დაგროვილი მოგება/ზარალი	(43,147,127)	(37,207,569)	-14%
არაკონტროლირებადი წილი	(2,122,013)	(370,267)	-83%
სულ კაპიტალი	(26,155,540)	(23,614,240)	-10%
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტუანი კრედიტები, სესხები და საიჯარო ვალდებულებები	1,405,322	16,576,722	1080%
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,405,322	16,576,722	1080%
მოკლევადიანი ვალდებულებები			
პროცენტუანი კრედიტები და სესხები	29,419,941	16,517,938	-44%
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14,608,658	12,841,776	-12%
მიღებული ავანსები	21,525,137	14,347,890	-33%
საიჯარო ვალდებულებები	185,043	311,552	68%
საგადასახადო ვალდებულებები	192,881	177,760	-8%
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	65,931,660	44,196,916	-33%
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	41,181,442	37,159,398	-10%

2019 წლის ბოლოს დეკემბრის თვეში იბერია ბიზნეს ჯგუფმა მოახდინა შპს კია მოტორს ჯორჯიას 50% წილის რეალიზაცია, საიდან მიღებული სახსრებითაც მოახდინა სს საქართველოს ბანკის წინაშე არსებული ცესიის ვალდებულების მკვეთრად შემცირება და მთავარი პუნქტის გაუქმება რითიც ფინანსური, იურიდიული და საოპერაციო რისკები მინიმუმდე იქნა დაყვანილი. კერძოდ, გაუქმდა ის პუნქტი, რისი მეშვეობითაც ბანკი უფლებამოსილი იყო აღედგინა პირობითად ნაპატიები თანხები. ფაქტიურად აღნიშნული ვალდებულებიდან მხოლოდ ცესიის ფორმა დარჩა როგორც დასახელება, შინაარსობრივად კი 2020 წლიდან გახლავთ სტანდარტული საბანკო ვალდებულება.

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა პოტენციურ ინვესტირებთან და 2021 წლის ბოლოსთვის ვვარაუდობს აღნიშნული ვალდებულების სრულად დაფარვას.

საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

ჯგუფის არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 4,490,013 ლარით, ცვლილების დიდი ნაწილი გამოწვეულია გრძელვადიანი სესხის კაპიტალში კონვერტაციით.

ჯგუფის საბრუნავი აქტივები შემცირდა 8,512,058 ლარით. ამ ცვლილების დიდი ნაწილი გამოწვეულია კია საქართველოს გაყიდვით.

ჯგუფის გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდა 15,171,400 ლარით ნაწილობრივ გამოწვეულია საიჯარო ვალდებულების აღიარებით, საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხის გადავადებით და ნაწილობრივ ახალი გრძელვადიანი სესხების აღებით ფინანსური ინსტიტუტებისგან. მთლიანობასი მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები გაზრდილია 1,983,572 ლარით.

ჯგუფის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2019	2020
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.4007	0.4420
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.5833	0.6776
ფინანსური ლევერიჯი	(1.1248)	(1.3299)

მიუხედავად მცირედი გაუმჯობესებისა, ჯგუფი ხასიათდება უარყოფითი ფინანსური ლევერიჯით, რაც გამოწვეულია უარყოფითი კაპიტალის კომპონენტით. უარყოფითი კაპიტალის კომპონენტი 2019 წლის მსგავსად ნარჩუნდება 2020 წელსაც, თუმცა შემცირებულია 2,541,300 ლარით.

2020 წელს შეინიშნება ლიკვიდურობის კოეფიციენტების მცირედი გაუმჯობესებაც, რაც ჯგუფის მიერ ვალდებულებების დროულად დაფარვის უკეთეს შესაძლებლობებზე და გაუმჯობესებულ ფულად ნაკადებზე მეტყველებს.

ჯგუფის რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2019	2020
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	0.4579	(0.3257)
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)	(0.2908)	0.2070

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) შემცირებულია, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ჯგუფი ნაკლებად ეფექტურად საქმიანობს მოგების შექმნის და დამფუძნებლების ღირებულების ზრდის თვალსაზრისით.

მცირედით, მაგრამ მაინც გაუჯობესებულია მტლიანი აქტივების რენტაბელობაც.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები მოცემულია შპს იბერია ბიზნეს ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვა

ჯგუფს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებული აქვს საწარმოო ნარჩენების მართვის გეგმა. გეგმა გათვლილია სამ წელიწადზე. მასში მოყვანილი მონაცემები მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ საპროგნოზო და ეყრდნობა გასული წლის არსებულ მონაცემებსა და კომპანიაში დაგეგმილ აქტივობებს. ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განხორციელებული ღონისძიებები - ნარჩენების შემცირება / მინიმიზაცია ან ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია გულისხმობს ნარჩენების შემცირებას წარმოქმნამდე. ხშირად ზედმეტი ნარჩენის წარმოქმნა ხდება რესურსების არაეფექტიანი გამოყენების ან ცუდი დაგეგმვის შედეგად. ნარჩენების მინიმიზაცია რეალურად ამცირებს იმას, რასაც ჩვენ გამოვიყენებთ და შესაბამისად, ნარჩენს, რომელსაც წარმოვქმნით. ნარჩენების შემცირებას ჯგუფში შემავალი კომპანიები აღწევენ სხვადასხვა გზების საშუალებით, მაგალითად: ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერგიად გარდაქმნა.

ნარჩენების მართვა კომპანიაში ხორციელდება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, უსაფრთხო მმართველის პროცესის მოიცავს:

- ნარჩენების იდენტიფიკაცას მათი სახეების მიხედვით;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვებას, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვით, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;
- ნარჩენების ტრანსპორტირება ისეთი ფორმით, რომ გამოირიცხოს იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება
- ნარჩენების მეორადი გამოყენება
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა
- ნარჩენების, სერვის-ცენტრში დროებით (შემდგომ ტრანსპორტირებამდე) დასაწყობება-შენახვისათვის გამოყოფილი ადგილის პერიოდული მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა;

დამატებით კომპანიამ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით განსაზღვრა გარემოსდაცვითი მმართველი, რომლის ძირითადი მოვალეობებია:

- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის მომზადება და გაახლება
- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის განხორციელების ორგანიზება

- ✓ ნარჩენების მმართველის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლოს განხორციელება

კომპანიის მომსახურე პერსონალს ეტაპოვრივად, განახლებად რეჟიმში უტარდება ტრენინგები ზოგადად ნარჩენების მმართველის, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, ნარჩენების დროებით დასაწყობება/შენახვის მეთოდების, ნარჩენების პრევენციის ღონისძიებების შესახებ.

საკადრო პოლიტიკა

ადამიანური რესურსების დაგეგმვის პროცესი ჯგუფში მიმდინარეობს ყოველი წლის მეოთხე კვარტალში. ამ მიზნით ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი აკეთებს საშტატო ერთეულების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს ოპტიმიზაციის გეგმას, განსაზღვრავს ახალი კადრების საჭიროებას.

2020 წელს ჯგუფში შემავალ კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა 150 ადამიანს შეადგენდა. 2019/2020 წლების საშტატო ერთეულების ანალიზის შედეგების მიხედვით დამატებითი კადრების საჭიროება არ დამდგარა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, 2020 წელს ჯგუფს კვლევებისა და განვითარების სფეროში დამატებითი ღონისძიებები არ ჩატარებია.

ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, ინდუსტრიული ზეთები და სითხეები, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და საბურავები.

ჯგუფის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს ქვეყანაში ამ დროისათვის საავტომობილო ბაზრის რეგულაციების არ არსებობა. სამომავლოდ სახელმწიფომ შესაძლებელია მიიღოს იმგვარი რეგულაცია, რომელიც საავტომობილო წარმოების ადგილობრივი ბაზრის შექმნას შეუწყობს ხელს, რაც ზიანს მოუტანს იმპორტიორ კომპანიებს.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელმაც ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში და ცვლილება, რომლის თანახმადაც კომპანია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული ავანსიდან.

რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში ჯგუფი ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი - ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. ჯგუფი არ ახორციელებს

კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

ჯგუფს გააჩნია ფინანსური სამსახური/დეპარტამენტი –სტრუქტურული დანაყოფი, რომლის ძირითადი მოვალეობაა ბიუჯეტის კოორდინირება, მის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აღრიცხვის წარმოება, ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის კონტროლი. იგი ანგარიშვალდებულია ხელი შეუწყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის პრინციპების დანერგვას. ამასთან, დაწესებულების ფინანსური სამსახური/დეპარტამენტი ხელმძღვანელებისგან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს ფინანსური მართვისა და კონტროლის ანგარიშს, რომელიც წარედგინება ჯგუფში შემავალი კომპანიის თითოეულ ხელმძღვანელს და დირექტორს;

ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ფარგლებში ანგარიშგების ჩამოყალიბების მიზანია დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, როგორც ცალკეული კომპანიის ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგაწარმოების, ისე ჯგუფის ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის და არსებული მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელია ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი, ასევე აღნიშნული ინსტრუქციის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და არსებული სისტემის მუდმივი სრულყოფა. ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ანგარიშგების პროცესი ორ დონეზე ხორციელდება:

ა) ქვედა დონეზე – ანგარიშის წარდგენა თითოეული კომპანიის ხელმძღვანელთან და მისი ანალიზი;

ბ) ზედა დონეზე - ანგარიშგების, ბიუჯეტთან მისი შედარების, ნაღდი ფულის მოძრაობის და ლიკვიდურობის ანალიზი მთლიან ჯგუფზე ჯგუფის მმართველ კომპანიის იბერია ბიზნეს ჯგუფის უმაღლეს მენეჯმენტთან რომელიც, თავის მხრივ, ახდენს შედეგებიდან გამომდინარე ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.

ანგარიშგება ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით:

ა) ყოველკვირეულად (მიმდინარე გაყიდვების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზი)

ბ) ყოველთვიურად (თვის ფინანსური ანგარიშგების, ბიუჯეტთან შედარების, გაყიდვების, ფულის მოძრაობის და საპროგნოზო ოპერაციების ანალიზი)

გ) კვარტალურად (ყველა ბ კატეგორიაში აღნიშნულ ანალიზთან ერთად ჯგუფის პერსპექტივების ანალიზი, სვოტ ანალიზი, მიმდინარე კოეფიციენტების, ბრუნვაძოების ანალიზი და ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული პერსპექტივების და რისკების ანალიზი);

დ) წლიურად (ბ და გ პუნქტში აღნიშნული საკითხებისგან დამატებით, მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენა, გასული წლის დეტალური ანალიზი, ახალი მიზნების ჩამოყალიბება და მოცემული მიზნების მიღწევის გეგმის შედგენა).

აღნიშნული სახით ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში აღმოჩენილი იქნას ფინანსური რისკები ან და ბიზნესის პერიოდული რყევები დაგეგმილ ბიუჯეტთან მიმართებაში. მოცემული გარემოებების დადგენის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების და ამ გადაწყვეტილებების შესრულებაზე სისტემატიური ანგარიშგების წარდგენით ჯგუფი ეფექტურად ოპერირებს ბიუჯეტით დასახული მიზნების და შედეგების მისაღწევად.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ჯგუფის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, პარტნიორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე ჯგუფის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკაგულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ჯგუფი მიმდინარე პერიოდში ძირითადად საკრედიტო ვალდებულებების ნაწილში იყენებს მოკლევადიან დაფინანსებებს, რომლის მიზნობრიობაც წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების, უმეტესად ავტომობილების შეძენა. საკრედიტო ლიკვიდურობა პირდაპირ კავშირშია მოცემული საბრუნავი საშუალებების რეალიზაციასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ საკრედიტო ვალდებულებების დაფარვის წყარო არის ამავე კრედიტით შეძენილი ავტომობილების რეალიზაცია. რაც შეეხება კონკრეტულ შეკვეთებს, შეკვეთის განთავსება ხდება როგორც გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (კორპორატიული კლიენტი), ასევე ხელშეკრულების გაფორმების გარეშე (საცალო კლიენტი). ხელშეკრულებით გამყარებულ ნაწილში როგორც წესი ფულის ლიკვიდურობის რისკი ფაქტიურად არ არსებობს. რაც შეეხება ხელშეკრულების გარეშე არსებულ შეკვეთებს, მოცემულ შემთხვევებში ჯგუფში შემავალი კომპანიები აკეთებენ არჩევანს სტატისტიკაზე დაყრდნობით, სადაც პრიორიტეტი მინიჭებულია სწრაფად რეალიზებად პროდუქციაზე. როგორც წესი მარაგის რეალიზაციის ციკლი მერყეობს 3-6 თვის შორის. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მოცემული ვადების დარღვევის რისკი, ჯგუფში შემავალი კომპანიები მოცემული ვადის გასვლამდე სხვადასხვა აქციებით და ფასდაკლებებით ახდენენ მის დაზღვევას/მინიმუმამდე დაყვანას.

ჯგუფში შემავალი კომპანიები ავტომობილების რეალიზაციას უმეტესად კონსიგნაციის გარეშე ახდენენ, რაც ნაღდი ფულის ბრუნვის რისკს თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს. გარდა ამისა, კომპანიის სტაბილური საოპერაციო საქმიანობა იძლევა იმის შესაძლებლობას რომ ჯგუფში შემავალი კომპანიები ლიკვიდურობის მაღალი რისკის წინაშე არ დადგნენ.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად. საზოგადოების აუდიტორის შპს „გრანტ თორთონ“-ის მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.